www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 19 ივლისი, 2012 წელი. | №3068 (161) | ფასი 50 თეთრი

ბრძოლები დამასკოში თუ დამასკოსთვის?

უპრეცედენტო აფეთქება სირიის დედაქალაქში

ხათუნა გაბიევი

უპრეცედენტო მასშტაბის აფეთქება დამასკოში, დაღუპული და დაშავებული სამხედრო მაღალჩინოსნები, ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური სანქციები სირიის წინააღმდეგ, რუსეთის ხისტი პოზიცია და ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს საგანგებო შეხვედრის მოლოდინი სირიის საკითხებზე.

აფეთქების ხმა სირიის დედაქალაქში ეროვნული უშიშროების შენობასთან ადგილობრივი დროით 15:37 საათზე გაისმა.

გაგრძელება
მე-<None> გვერდზე

დეპუტატები პარლამენტის შენობას ემშვიდობებიან

დათო გამისონია

პარლამენტის შენობის დაცლა C კორპუსიდან დაიწყო. პარლამენტის აპარატის უფროსმა დავით ჯანიაშვილმა თანამშრომლებს ნივთების ჩალაგება დაავალა. როგორც აპარატის თანამშრომლები ამბობენ, პირველ ეტაპზე ისინი უფრო შემჭიდროებულად A და B კორპუსებში გადანაწილდებიან. საქმე ის არის, რომ ნივთების შეკვრის მითითება ვიცე-სპიკერების აპარატებსაც მისცეს, რომლებიც სწორედ A კორპუსში არიან განთავსებული.

"ჯერჯერობით ნივთებს ალაგებენ, მაგრამ შენობა არ იცლება. თუ ვინმეს პირადი ნივთები და ყვავილები შენობიდან გააქვს, მისი საქმეა," - აღნიშნავს დავით ჯანიაშვილი.

საპარლამენტო უმცირესობის აპარატის თანამშრომლები ამბობენ, რომ მათ ოთახების დასაცლელად 10 დღე დაუწესეს. თუმცა, როგორც დავით ჯანიაშვილი ირწმუნება, მას თანამშრომლებისთვის ნივთების ჩასალაგებლად ვადები არ დაუწესებია.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

მსოფლიო მუსიკის დღეები

ბათუმის ჯაზფესტივალის ფარგლებში Fete de la musique-ს ქართული ანალოგი გაიმართება

ია ვეკუა

მესამე დღეა, ბათუმში შავი ზღვის ჯაზფესტივალი მიმდინარეობს - ზაფხულის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და სასიამოვნო ღონისძიება, რომელიც დღითიდღე გადამწყვეტ ფაზაში შედის. როგორც იცით, "ისტერნ პრომოუშენის" მიერ ორგანიზებულ ფესტივალს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო წარმოადგენს, რომელიც ფესტივალის ფარგლებში დამატებით ღონისძიებასაც გთავაზობთ.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

საწვავის იმპორტი იზრდება

ნინო ნარჩემაშვილი

მაღალი ფასის მიუხედავად, საქართველოში წლის პირველ ნახევარში საწვავის იმპორტი გაიზარდა. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის განცხადებით, "2012 წლის პირველ ნახევარში საქართველოში საწვავის იმპორტმა (ბენზინი და დიზელის საწვავი) შეადგინა 378 323 763,79 კგ, რაც 32 ათასი ტონით ანუ 8.5 პროცენტით აღემატება 2011 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს და 52 ათასი ტონით ანუ 14 პროცენტით - 2010 წლის მაჩვენებელს.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საწვავის ფასები მაღალ ნიშნულზე იდგა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში რეკორდულად ყველაზე მაღალი ფასებიც კი ფიქსირდებოდა. ბოლო პერიოდში ბენზინის მომხმარებელი, ბენზინის მაღალი ფასის გამო, აქტიურად გადადის საწვავის ალტერნატიულ წყაროზე - ავტოგაზზე, რომლის ღირებულება ბენზინთან შედარებით საკმაოდ სტაბილური და მცირეა (1,10 ლარი/კუბამეტრზე).

გაგრძელება
მე-<None> გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6425⇓
1 ევრო	2.0186⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5677⇓
1 თურქული ლირა	0.9073⇓
100 რუსული რუბლი	5.0545⇓

თბილისი	31°C - 21°C
ქუთაისი	31°C - 19°C
თელავი	32°C - 17°C
ზუგდიდი	30°C - 18°C
ბათუმი	28°C - 18°C

ნავთობი	2.88	+0.03	+1.18%
გაზი	2.97	+0.17	+5.76%
ოქრო	1,573.40	-16.10	-1.02%
ხორბალი	895.00	+10.00	+1.12%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

TBC BANK
FM 102.4
BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

"დილას" დებიუტი და "მეტალურგის" ჩეხური ბარიერი

საქართველოს თასის მფლობელი გორის "დილა" დღეს პირველად დააჭაშნიკებს ევროსარბიელს - ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გორელებს მეტოქედ დანიური "ორჰუსი" ერგოთ. დღესვე რუსთავის "მეტალურგი" მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჩეხურ "პლზენს" დაუპირისპირდება.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

"დილა" ორჰუსში ჰამბურგიდან ჩავიდა

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოზს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

სააკაშვილმა და მერაბიშვილმა ხელი მოაწერეს "ხელშეკრულებას საქართველოსთან"

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ხელი მოაწერეს "ნაციონალური მოძრაობის" საპროგრამო დოკუმენტს "ხელშეკრულება საქართველოსთან". დოკუმენტი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

"ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" ბოლო რვა წლის განმავლობაში, საქართველოს ხალხთან ერთად, დაამარცხა კორუფცია და კრიმინალი, შენდება ახალი საქართველო. მაგრამ ბევრ ოჯახს ჯერ კიდევ უჭირს, ბევრია უმუშევარი. ქვეყნის წინსვლითა და წარმატებით მეტი სიკეთე უნდა მიიღოს თითოეულმა ოჯახმა; ამიტომ, "ნაციონალური მოძრაობის" მთავარი მიზანი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში იქნება - მეტი სარგებელი ხალხს!" - წერია ტექსტში.

დოკუმენტის თანახმად, მიზნის მისაღწევად, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" დებს პირობას, რომ მომავალი ოთხი წლის განმავლობაში: განახევრდება უმუშევრობა - აქტიურად ამუშავდება დასაქმების სამინისტრო; დარეგისტრირდება თითოეული უმუშევარი; სამუშაოს ყველა მაძიებელს ექნება სახელმწიფოს დაფინანსებით გადამზადებისა და ახალი კვალიფიკაციის მიღების საშუალება, მათ შორის, ახალ ტექნიკურ სასწავლებელსა და გადამზადების ცენტრებში;

ჯანდაცვის დაზღვევა ექნება ყველას - შესაბამისი კატეგორიის დაზღვევა იქნება სოციალურად დაუცველთათვის, 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, პენსიონერებისთვის, პედაგოგებისთვის, დევნილებისთვის, პოლიციელებისთვის და ჯარისკაცებისთვის; ყველა სხვა კატეგორიის მოქალაქეთათვის იარსებებს დაზღვევის საბაზისო პაკეტი; ჯანდაცვა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება.

ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ გაორმაგდება სოფლის მეურნეობა - ყველა სოფელში ბოლომდე მოგვარდება წყლის, გაზისა და გზების პრობლემა; გაიხსნება 500-ზე მეტი ახალი სოფლის მეურნეობის საწარმო; მოირწყვება დამატებით 90,000 ჰექტარი მიწა; სოფელი მიიღებს 2000 ერთეულ ახალ ტრაქტორს; მოხდება სოფლის მეურნეობის სრული მექანიზაცია. სასოფლო-სამეურნეო მიწის 90 პროცენტი დამუშავდება. ყველა ოჯახი მიიღებს 1000-ლარიან ვაუჩერს - ოჯახები თავად გადაწყვეტენ, ამ ვაუჩერით რა პრობლემა მოაგვარონ.

"ამ ხელშეკრულებით "ნაციონალური მოძრაობა" აცხადებს - დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნით, ხელმისაწვდომი ჯანდაცვის უზრუნველყოფითა და სოფლის მეურნეობის განვითარებით მივაღწევთ საერთო მიზანს - მეტი სარგებელი ხალხს," - აღნიშნულია დოკუმენტში.

დიმიტრი შაშკინმა თურქ კოლეგას ახალი კონცეფცია გააცნო

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თურქ კოლეგას ახალი კონცეფცია გააცნო. დიმიტრი შაშკინი ისმეთ ილმაზს გუშინ შეხვდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, პირისპირ შეხვედრაზე მხარეებმა რეგიონული უსაფრთხოების საკითხები, თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები - განსაკუთრებით სამხედრო განათლების კუთხით და ავღანეთში ISAF-ის მისიაში ქართული კონტინგენტის მონაწილეობის საკითხები განიხილეს.

2010 წლიდან ორი ქართველი მეკავშირე ოფიცერი თურქული კონტინგენტის შემადგენლობაში ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობს.

შეხვედრაზე დიმიტრი შაშკინმა თურქ კოლეგას თავდაცვის სამინისტროს ახალი - სამი T-ს კონცეფცია გააცნო, რომელზეც თავდაცვის სამინისტრო უკვე მუშაობს. პირველი T - Total Care გულისხმობს სახელმწიფოს ზრუნვას თითოეულ სამხედრო მოსამსახურესა და მის ოჯახზე. მეორე T - Total Training-ია - რაც შეიძლება მეტი განათლება და წვრთნები იმისთვის, რომ ნატო-ს სტრუქტურებში ინტეგრაცია დაჩქარდეს. მესამე მიმართულებაა Total Defence - ტოტალური თავდაცვა.

პირისპირ შეხვედრის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკის დელეგაციასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს შორის გაფართოებული შეხვედრა გაიმართა, სადაც მხარეებმა ქვეყნებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

შაშკინთან შეხვედრამდე თურქეთის თავდაცვის მინისტრმა გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო. დაღუპულ გმირთა ხსოვნას ასევე პატივი მიაგეს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ დავით ახალაიამ, გაერთიანებული შტაბის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა დევი ჭანკოტაძემ, გაერთიანებული შტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა გიგი კალანდაძემ და თურქეთის რესპუბლიკის დელეგაციის წევრებმა.

პრემიერ-მინისტრი ქარელის რაიონში ჩავიდა

პრემიერ-მინისტრი ქარელის რაიონში იმყოფებოდა. ვანო მერაბიშვილმა თამაზ თოთლაძის ვაშლის ბაღი დაათვალიერა და მორწყვის თანამედროვე ტექნოლოგიას გაეცნო.

პრემიერმა მებაღეს მოსავლის დაბინავება-რეალიზაციისთვის სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გააცნო. ამ მიზნით მთავრობა სახელმწიფო კომპანიის შექმნას აპირებს. ასევე იგეგმება, თბილისის მსგავსად, 40,000 ტონის ტევადობის მაცივრების მსგავსი ქსელის მოწყობაც.

ვანო მერაბიშვილმა შეხვედრაზე ქართული პროდუქტის ადგილობრივი ბაზრის მთლიანად ათვისების აუცილებლობაზე ისაუბრა და მოსახლეობას მოსავლის ექსპორტირებაში დახმარებასაც დაჰპირდა.

"მემარჯვენეებმა" მაჟორიტარობის კანდიდატების დასახელება დაიწყეს

მაგდა ლეკიაშვილი

"ახალმა მემარჯვენეებმა" საპარლამენტო არჩევნებისთვის მაჟორიტარების დასახელება ქუთაისიდან დაიწყეს. პარტიის ლიდერ დავით გამყრელიძის განცხადებით, სიმბოლურია სტარტი ქუთაისიდან, საქართველოს მომავალი საპარლამენტო ქალაქიდან, ვინაიდან ამით "მემარჯვენეები" აღნიშნავენ ქუთაისის მნიშვნელობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. საქართველოს რაიონების უმეტესობაში "ახალი მემარჯვენეები" ადგილობრივ პარტიულ ლიდერებს წარადგენენ. გამყრელიძის თქმით, პარტია აქცენტს აკეთებს საკუთარი გუნდის წევრებზე და არა ცნობად სახეებზე, მსახიობებსა ან სპორტსმენებზე. "მემარჯვენეების" კანდიდატები ის ადამიანები იქნებიან, რომელთათვისაც პოლიტიკა პროფესიაა და წლების მანძილზე ჩართულები არიან პოლიტიკურ პროცესებში. პარტიის ლიდერი აცხადებს, რომ სხვადასხვა ალიანსებში გაწევრიანების გამო, ხშირად გაერთიანების ასეთი წევრები პოლიტიკური პროცესებისგან მოშორებით რჩებოდნენ. ახლა კი მათ აქვთ შანსი, აქტიურად ჩაერთონ საარჩევნო მარათონში. გამყრელიძის განცხადებით, კანდიდატები პროფესიონალიზმის, ადგილობრივი პრობლემების ცოდნისა და მათი მოგვარების უნარების მიხედვით შეარჩიეს.

"ახლა გვაქვს შანსი, წარვადგინოთ ადამიანები, რომლებმაც წლების მანძილზე ბევრი რამ დაამტკიცეს - ერთგულება პრინციპებისა და გუნდის მიმართ, უნარი, უხმაუროდ აკეთონ რაიონისთვის, საკუთარი თანამოქალაქეებისთვის საჭირო და აუცილებელი საქმე, დაიცვან მათი ინტერესები," - ამბობს დავით გამყრელიძემ.

ქუთაისში "ახალი მემარჯვენეების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დავით გამყრელიძემ მამუკა მღვდელაძე წარადგინა. იგი 2004 წლიდან "ახალი მემარჯვენეების" ქუთაისის ორგანიზაციას ხელმძღვანელობს, პარტიაში 2001 წლიდან არის, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ქუთაისის საკრებულოს წევრად აირჩიეს.

ზესტაფონში "მემარჯვენეებს" კახა შავგულიძე წარმოადგენს, რომელიც ზესტაფონის საკრებულოში "მემარჯვენეების" ფრაქციის თავმჯდომარეა. ხონსა და თერჯოლაში "ახალი მემარჯვენეების" კანდიდატები ილია ყუფარაძე და ამირან სოფრომაძე იქნებიან, რომლებიც პარტიაში დაფუძნების დღიდან არიან. სამტრედიაში პარტიას ლევან ბუაძე წარადგენს. პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი გიორგი ასათიანი კი კენჭს წყალტუბოში იყრის.

იმერეთის მსგავსად, პარტიამ პრიორიტეტი საკუთარი გუნდის წევრებს მიანიჭა შიდა ქართლშიც. გორში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია იოსებ ბორვცვაძე - პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი და შიდა ქართლის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. კასპში "ახალი მემარჯვენეების" კანდიდატი დავით ციხისთავი იქნება, რომელიც პარტიის რაიონულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს.

ხაშურში კადიდატი ასევე პარტიის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი მაია ახალკაცი იქნება.

"მემარჯვენეებმა" მაჟორიტარობის კანდიდატები დაასახელეს კახეთშიც. თელავში გამარჯვებისთვის პარტიის ერთერთი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე იბრძოლებს. დავით გამყრელიძის თქმით, მისი კოლეგა კარგად იცნობს თელავში არსებულ პოლიტიკურ თუ სოციალურ ვითარებას და სწორედ ამიტომ თელაველთა პრობლემების გათავისება და მოგვარება არ გაუჭირდება. გურჯაანში "ახალი მემარჯვენეების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიგი იმერლიშვილი იქნება, რომელიც პარტიის კახეთის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელია. ყვარელში დავით გამყრელიძემ ყვარლის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის, "ახალი მემარჯვენეების" ყვარლის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ნუგზარ ღონიაშვილის კანდიდატურა წარადგინა. ასევე, ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე სოსო ბეჟანიშვილი იქნება "ახალი მემარჯვენეების" კანდიდატი დედოფლისწყაროს რაიონში.

მცხეთაში "ახალმა მემარჯვენეებმა" - მურად ჩხაიძის, თიანეთში - ქეთევან გონჯილაშვილის, ხოლო დუშეთში ვეფხია ბოდაველის კანდიდატური წარადგინეს.

"სამივე მაჟორიტარი კანდიდატი პოლიტიკაშია, ისინი რაიონულ ორგანიზაციებს ხელმღვანელობენ, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სამივე დაიბადა, გაიზარდა და დღემდე საქმიანობს იმ რაიონში, სადაც წარდგენილნი არიან. სამივე კარგად იცნობს საკუთარი რაიონის პრობლემებს და სამივეს კარგად შეუძლია მშობლიური რაიონისთვის ზრუნვა და მისი ინტერესების დაცვა," - განაცხადა დავით გამყრელიძემ მაჟორიატების წარდგენისას.

"მემარჯვენეები" მაჟორიტარებს ეტაპობრივად ყველა რეგიონში დაასახელებენ.

ორთვიანი პატიმრობა თვალთმაქცურ გარიგებაში ბრალდებულებს

თბილისის საქალაქო სასამართლომ თვალთმაქცური გარიგების დადებაში ბრალდებულ "ქართული ოცნების" წევრებს ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯა. "ქართული ოცნების" წევრები მერაბ კაჭახიძე, ტარიელ ქარდავა და თეიმურაზ შეყლაშვილი 16 ივლისს დააკავეს. ბრალდებულთა დაკავებასთან დაკავშირებით გავრცელებული ოფიციალური განცხადების პარალელულად შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა დანაშაულის გრაფიკული სქემა და ვიდეო მასალა, სადაც აღბეჭდილია გარიგების პროცესი.

გუშინდელი პროცესის შემდეგ მერაბ კაჭახიძის ადვოკატმა ლადო მაჭარაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პროკურორმა სასამართლოზე ვერ წარადგინა მყარი არგუმენტები, თუმცა მოსამართლემ "ქართული ოცნების" წევრებს პატიმრობა მაინც შეუფარდა. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა დაკავებულების გათავისუფლების თაობაზე, რადგანაც, გაიზიარა ბრალდების მხარის განცხადება, რომ კაჭახიძის, ქარდავასა და შეყლაშვილის გათავისუფლება გამოძიებას ხელს შეუშლიდა.

ადვოკატი ლადო მაჭარაშვილი სასამართლოს გადაწყვეტილებას ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრებს, რადგან მიიჩნევს, რომ სასამართლომ უსამართლო განჩინება გამოიტანა.

"სასამართლომ არ გაითვალისწინა ჩვენ მიერ წარდგენილი არც ერთი არგუმენტი იმის შესახებ, რომ მერაბ კაჭახიძის საპატიმროში ყოფნა არ შეიძლება, აღნიშნულ ქმედებას პოლიტიკურ დევნად ვაფასებ," - განაცხადა ლადო მაჭარაშვილმა.

მისივე თქმით, ისინი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას 48 საათის განმავლობაში გაასაჩივრებენ.

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" "ქართული ოცნების" დაკავებული წევრების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას ითხოვს.

როგორც საია-ს თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, გამოძიების ხელთ არსებული მასალები და ვიდეომასალა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა, მხოლოდ უკანონო საწევრო შენატანებსა და უკანონო შემოწირულობებზე მიუთითებს და არავითარ შემთხვევაში ამომრჩევლის მოსყიდვაზე.

თამარ ჩუგოშვილის განმარტებით, უკანონო საწევრო შენატანების და შემოწირულობების განხორციელება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, თუმცა ის ისჯება როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და არა როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

"მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, იმ გარიგების დადება, რომელიც მიზნად ისახავს ამავე კანონით დადგენილი შეზღუდვებისთვის თავის არიდებას, ისჯება გარიგების ღირებულების ხუთმაგი ოდენობით, შესაბამისად, სამინისტროს მიერ გავრცელებულ მასალაში მითითებულ ქმედებებზე რეაგირება მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომპეტენციაა. ამ დრომდე უკანონო შემოწირულობების ყველა საქმეზე რეაგირება მხოლოდ ადმინისტრაციული წესით განხორციელდა, აღნიშნული საქმეების სისხლის სამართლის კონტექსტში გადატანის ტენდენცია კი, რომელიც გამოიკვეთა, 164-ე პრიმა მუხლის ძალიან ფართო ინტერპრეტაციაა და შემაშფოთებელია," - განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

დეპუტატები პარლამენტის შენობას ემშვიდობებიან

პირველი გვერდიდან

"რაც ქუთაისში გადასვლის საკითხი დღის წესრიგში დადგა, მას შემდეგ ვიცი, რომ საგაზაფხულო სესიის დასრულებისთანავე უნდა დამეწყო გადასვლის მზადება. ქუთაისში პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა სექტემბერში დასრულდება," - ამბობს დავით ჯანიაშვილი.

აპარატის უფროსი ვერ აკონკრეტებს, რამდენი თანამშრომელი აპირებს ქუთაისში მუშაობის გაგრძელებას. ჯანიაშვილის თქმით, თანამშრომლები ჯერჯერობით გარკვეულები არ არიან. ბევრი მათგანი ქუთაისში გადასვლას ვერ მოახერხებს და ამიტომ სამსახურებსაც ეძებს. მისი თქმით, წინასწარ პროგნოზირება რთულია, თბილისში სამსახურს რამდენი ვერ იშოვის.

ჟურნალისტები კი პარლამენტში მუშაობას აგრძელებენ. პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსმა მაკა გიგაურმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პარლამენტის მედიაცენტრის მუშაობას აგვისტოსა და სექტემბერში ხელი არ შეეშლება.

უფლებამოსილების ამოწურვამდე ბარგის ჩალაგებაზე უარს ამბობენ ფრაქციის "ერთობა სამართლიანობისთვის" წევრები. ფრაქციის წევრ გია ცაგარეიშვილის თქმით, აპარატის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ფრაქცია გააფრთხილეს, რომ მომავალ კვირამდე ნივთები ჩაელაგებიათ. **"ეს არა მხოლოდ ფრაქციის აპარატს, არამედ დეპუტატებსაც მიუთითეს. მომავალი პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღემდე ჩვენ უფლება გვაქვს, ჩვენს ოთახებში ვიმუშაოთ. ამას ვერავინ შეგვიზღუდავს,** - ამბობს გია ცაგარეიშვილი - **წიკლაურებს და გაბაშვილებს თუ სადმე მიერეკებიან, მათ ეს თავიანთ პატრონებთან გაარკვიონ. ვიღაც უკვე ცალი ფეხით ქუთაისშია. დეპუტატები რიკოთის უღელტეხილზე ეძებეთ. იქ შეიძლება, ხელჩანთებით წაააწყდეთ."**

NEWSGE

პარლამენტის შენობაში ბევრი ოთახი ასე გამოიყურება

ამავე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ლორთქიფანიძე ამბობს, რომ პარლამენტის შენობიდან გასვლას არ აპირებს. როგორც ლორთქიფანიძე აღნიშნავს, ის "ნაციონალური მოძრაობისა" და "ქრისტიან-დემოკრატებისგან" განსხვავებით, უპარტიოა და შესაბამისად, საქმიანობას პარტიის ოფისში ვერ გააგრძელებს. ოპოზიციონერი დეპუტატი პარლამენტის თავმჯდომარისგან ითხოვს პასუხს - სად მიიღოს მოქალაქეები ყოველდღიურად?

პარლამენტის აპარატის უფროსი უარყოფს ინფორმაციას, თითქოს, დეპუტატებს პარლამენტის შენობის დატოვებას აიძულებენ. "დეპუტატების კურატორობა ჩემს ფუნქციაში არ შედის. როგორც აპარატის ხელმძღვანელს, დავალებული მაქვს, შენობის დაცლის გამო საკანონმდებლო პროცესი არ შეფერხდეს. პარლამენტის წევრებს ვერ ვუკარნახებ, შეიცვალონ თუ არა თავიანთი ადგილსამყოფელი," - აღნიშნავს ჟურნალისტებთან საუბარში დავით ჯანიაშვილი.

"24 საათი" პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილს ესაუბრა. მისი თქმით, საგაზაფხულო სესიის დასრულებიდან საშემოდგომო სესიის დაწყებამდე პარლამენტში დეპუტატებისთვის არდადეგებია გამოცხადებული. როგორც გოგორიშვილი განმარტავს, ახლა პარლამენტში დეპუტატებს არანაირი საქმე არა აქვთ. **"საკანონმდებლო მუშაობა არ მიმდინარეობს. არც რიგგარეშე სესიის გამოცხადებას ველოდებით,"** - აღნიშნავს გოგორიშვილი. ამასთან, ხათუნა გოგორიშვილი ამბობს, რომ ამომრჩევლებთან დეპუტატების შეხვედრების უზრუნველყოფის ვალდებულება პარლამენტის აპარატს არა აქვს.

პირადად ხათუნა გოგორიშვილს შენობის დაცლის შესახებ ცნობა ჯერჯერობით არ მიუღია. დეპუტატების ნაწილმა კი კაბინეტები უკვე გაათავისუფლა. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი კანდელაკმა, რომელიც ოთახში პირად ნივთებს ალაგებდა, "24 საათს" უთხრა, რომ წინასაარჩევნოდ მუშაობას პარტიის ოფისში გააგრძელებენ, რათა ადმინისტრაციული რესურსი არ გამოიყენონ. **"ახლა ძირითადი სამუშაო პარტიული საკითხებია,"** - ამბობს კანდელაკი. რამდენიმე დეპუტატი პარლამენტის შენობას უკვე დაემშვიდობა. მათ შორის არიან გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზაზა გამცემლიძე, ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ თოიძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი კობა ხაბაზი.

სასამართლომ შემომწირველები დააჯარიმა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლომ 6 პირი, რომლებმაც კოალიცია "ქართული ოცნების" ანგარიშზე შემონირულობა განახორციელეს, დააჯარიმა.

საქალაქო სასამართლომ "თავისუფალი დემოკრატების" და "ეროვნული ფორუმის" 6 შემომწირველი "ქართული ოცნების" ანგარიშზე გადარიცხული თანხების ხუთმაგი ოდენობით დაჯარიმა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაჯარიმდნენ გიორგი რჩეულიშვილი, ომარ შაუთიძე, თეიმურაზ ხარაიშვილი, მარტია ჭინჭარაული, ანზორ შაუთიძე და რომან კუსიანი.

"თავისუფალი დემოკრატების" წევრმა რომან კუსიანმა, რომელიც სასამართლომ შეწირული თანხის ხუთმაგი ოდენობით - 150 ათასი ლარით დააჯარიმა, აღნიშნა, რომ პარტიას 30 000 ლარი შესწირა.

რომან კუსიანი ჯარიმას უკანონოს უწოდებს და აცხადებს, რომ მას კანონის მიხედვით, პარტიისთვის კიდევ 30 ათასი ლარის გადარიცხვის უფლება აქვს. მისი თქმით, ეს თანხა პირადი დანაზოგია, თუმცა ეს არგუმენტი სასამართლომ არ გაიზიარა.

კუსიანის ინფორმაციით, შემომწირველებს ქონება და პირადი ანგარიშები სასამართლო პროცესამდე დაუყადაღეს.

"მე მაქვს დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსმა ლევან ბეჟაშვილმა 2011 წელს "ნაციონალური მოძრაობას" 500 ათასი ლარი გადაურიცხა, მაგრამ თავად ამ გადარიცხვებში არ ფიგურირებს. ჩვენ თუ ვისჯებით შემოწირულობისთვის, რატომ არ ისჯება ლევან ბეჟაშვილი?!" - აღნიშნა კუსიანმა, რომლის თქმითაც, თავად სამართალდამრღვევმა პირმა - ლევან ბეჟაშვილმა სასამართლოსთან ერთად მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება.

"სასამართლომ 6 ოჯახი დატოვა საცხოვრებელი სახლის გარეშე, ეს გადაწყვეტილება გამომდინარეობს სასამართლოს ტენდენციურობიდან და კონტროლის პალატის ნებიდან," - განაცხადა რომან კუსიანმა.

ერთ-ერთი შემომწირველის, თეიმურაზ ხარაიშვილის ადვოკატის ემზარ პაქრაძის თქმით, მისმა დაცვის ქვეშ მყოფმა პირმა 3420 ლარამდე შესწირა თავის პარტიას და ჯარიმის სახით დაეკისრა 17 400 ლარი.

დაჯარიმებულებმა თანხა 1 კვირის ვადაში უნდა გადაიხადონ. შემომწირველები პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

გიორგი ბარამიძემ იტალიაში ორმხრივი შეხვედრები გამართა

ვიცე პრემიერ-მინისტრმა გიორგი ბარამიძემ რომში, გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე 29-ე საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, ორმხრივი შეხვედრა გამართა ბოსნია-ჰერცეგოვინის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარესთან, საგარეო საქმეთა მინისტრ ზლატო ლაგუმჯიასთან.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინის ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს. ბოსნია-ჰერცეგოვინის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ საქართველოში მიმდინარე რეფორმებს შთამბეჭდავი უწოდა და ქვეყანასთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვა. მხარეებმა საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინის ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივებზეც ისაუბრეს.

ბოსნია-ჰერცეგოვინა იმ დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს შორის არის, რომლებთანაც საქართველო დაჯგუფდა და ჩიკაგოს სამიტზე 28+4 ფორმატის შეხვედრაში მონაწილეობდა.

კიდევ ერთი შეხვედრა გიორგი ბარამიძემ იტალიის მთავრობის სახლში იტალიის ევროკავშირთან ურთიერთობების მინისტრ ენცო მოავეროსთან გამართა, ხოლო იტალიის სენატში ვიცე-პრემიერი იტალიის სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე ლამბერტო დინის შეხვდა.

იტალიურ მხარესთან ორმხრივ შეხვედრებზე გიორგი ბარამიძემ ხაზი გაუსვა საქართველო-იტალიის ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცების საკითხს და საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველო-იტალიის მოქმედებათა კოორდინაციის მნიშვნელობას. აღნიშნა, რომ მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, საქართველო განაგრძობს რეფორმებს და დემოკრატიულ, თანამედროვე, ევროპულ სახელმწიფოდ გარდაქმნის პროცესს.

"გაერო-ს ბავშვთა ფონდის" კვლევით, საქართველოში სიღარიბეში კვლავ ბევრი ბავშვი რჩება

"გაერო-ს ბავშვთა ფონდის" ეგიდით ჩატარებული კვლევის შედეგებით, საქართველოში სიღარიბის შემცირების ტენდენციაა. ფონდის ხელმძღვანელობამ კვლევის პრეზენტაცია გუშინ მოაწყო და მას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილიც ესწრებოდა.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ მომავალში სოციალური დაცვის ნებისმიერი მექნიზმის შემოღებისას თუ გაფართოებისას უნდა გაითვალისწინონ ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების ინტერესები, რადგან ბავშვების სიღარიბისგან დაცვა ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტიციაა, რაც საზოგადოებამ შეიძლება განახორციელოს.

კვლევის შედეგებით ირკვევა, რომ საპენსიო პაკეტის ზრდა, ჯანმრთელობის დაზღვევისა და სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამები ქვეყანაში სიღარიბის შემცირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. კერძოდ, ბოლო წლების განმავლობაში პენსიები რომ არ გაზრდილოყო, უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი მოსახლეობაში (8,3 პროცენტი), დაახლოებით, სამჯერ უფრო მაღალი იქნებოდა.

აღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით გაერო-ს ბავშვთა ფონდის მიერ შემუშავებული დოკუმენტი "საქართველო: ბავშვთა სიღარიბის შემცირება", ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მიუხედავად გაუმჯობესებული მდგომარეობისა, მაინც ბევრი ბავშვი ცხოვრობს სიღარიბეში. ამიტომ, "გაერო-ს ბავშვთა ფონდი" მიიჩნევს, რომ საჭიროა დამატებითი ძალისხმევა და ფინანსები საქართველოში ყველაზე დაუცველი ბავშვების დასახმარებლად.

"ეროვნულები" "ქართულ ოცნებასთან" ერთად

მოძრაობა "ეროვნულები" საზოგადოებრივ მოძრაობა "ქართულ ოცნებასთან" თანამშრომლობას იწყებენ. "ეროვნულების" წევრებს შორის არიან დავით სოკოლოვი, სანდრო ბრეგაძე, პაატა გაფრინდაშვილი, გურამ პეტრიაშვილი და შალვა ხაჭაპურიძე. "ეროვნულებთან" მოლაპარაკებაში, საზოგადოებრივი მოძრაობა "ქართული ოცნების" წევრთა გარდა, კოალიცია "ქართული ოცნებიდან" ირაკლი ალასანია მონაწილეობდა. შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ "ეროვნულების" წარმომადგენლები საზოგადოებრივ მოძრაობა "ქართულ ოცნებაში" შექმნილ თემატურ ჯგუფებში ჩაეწერებიან და სხვადასხვა მიმართულებებით დაიწყებენ მუშაობას.

"თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი ირაკლი ალასანია ამბობს, რომ კოალიცია "ქართული ოცნებისთვის" მოძრაობა "ეროვნულები" თბილისსა და რეგიონებში მყარი დასაყრდენი იქნება. მისი თქმით, "ეროვნულები", "ქართულ ოცნებასთან" ერთად, სამართლიანი და გამჭვირვალე წინასაარჩევნო გარემოს შესაქმნელად იმუშავებენ.

"ეს ადამიანები მთელი 20 წლის განმავლობაში გაუტეხელები იყვნენ, ემსახურებოდნენ ეროვნულ საქმეს და ჩვენთვის დიდი პატივია, რომ მუშაობას მათთან ერთად ვაგრძელებთ," - აღნიშნა ალასანიამ და დასძინა, რომ ამ ორი ორგანიზაციის თანამშრომლობა საქართველოში მეტი სამოქალაქო თანხმობის, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოძრაობებს შორის მეტი სოლიდარობის საფუძველი იქნება.

დავით სოკოლოვი აცხადებს, რომ საზოგადოებრივი მოძრაობა "ქართული ოცნებისა" და მოძრაობა "ეროვნულების" გაერთიანება ქვეყანის ერთ მუშტად შეკვრის მაგალითი უნდა გახდეს. **"ქვეყანა ერთ სხეულად გადაიქცევა და ოცნებები ასრულდება, რომლებიც ჩვენ ჯერ კიდევ 20 წლის წინათ დავისახეთ,"** - განაცხადა სოკოლოვმა.

მოძრაობა "ეროვნულების" წევრი პაატა უგრეხელიძე ამბობს, რომ ისინი საერთო მაჟორიტარებსაც წარადგენენ, თუმცა რომელ რეგიონებში, ჯერ გარკვეული არ არის.

პაატა ბარათაშვილის განცხადებით, დღემდე მოძრაობა "ეროვნულებს", რომელიც, ძირითადად, "ეროვნული მოძრაობის" წევრებით არის დაკომპლექტებული, არჩევნებში მონაწილეობის სურვილი არ ჰქონია. **"ამის მიზეზი ის იყო, რომ ფარსში მონაწილეობა არ გვინდოდა. დღეს კი ერთმანეთს ხელი იმიტომ გავუწოდეთ, რომ ჭეშმარიტი ძალა დავინახეთ, ვისთანაც თანამშრომლობა შეიძლება,"** - ამბობს ბარათაშვილი და იმედს გამოთქვამს, რომ ამ ბრძოლაში ისინი აუცილებლად გაიმარჯვებენ. თუმცა, როგორც იგი დასძენს, ჯერ არაფერია გადაწყვეტილი და საჭიროა კოალიციის ლიდერ ბიძინა ივანიშილთან მოლაპარაკებების გამართვა. **"ჩვენ შეიძლება, ჩვენი წევრები წარვუდგინოთ, მაგრამ ბატონი ბიძინა გადაწყვეტს, ვინ, სად და როგორ იმოქმედებს,"** - აღნიშნა News.ge-სთან საუბარში პაატა ბარათაშვილმა.

საკუთარი ინფორმაცია

ედპ "ნაციონალურ მოძრაობას" დებატებში იწვევს

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" "ნაციონალურ მოძრაობას" პოლიტიკურ დებატებში იწვევს. ამის შესახებ "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა გურამ ჩახვაძემ გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა.

"ედპ პოლიტიკურ დებატებში იწვევს "ნაციონალურ მოძრაობას", რომლის დროსაც დავამტკიცებთ, თუ რატომ არ უნდა დაუჭიროს მხარი ქართულმა საზოგადოებამ მმართველ პარტიას," - აცხადებს ჩახვაძე. მისივე თქმით, პოლიტიკურ დებატებში ჩართვის ვალდებულება ჩადებულია პარტიების ეთიკის კოდექსში, რომელიც თვითონ "ნაციონალურმა მოძრაობამ" შესთავაზა პარტიებს.

ჩახვაძე საზოგადოებას მიმართავს, რომ არ დადოს ხელშეკრულება "ნაციონალურ მოძრაობასთან", რომელმაც რვა წლის განმავლობაში ვერ შეასრულა ვერც ერთი დანაპირები.

მისივე თქმით, დადგა დრო, "ნაციონალურმა მოძრაობამ" ახალ პარლამენტში თავისი ძალები ოპოზიციის როლში მოსინჯოს და ადგილი იმ პოლიტიკურ ძალას დაუთმოს, რომელიც უკეთ შეძლებს საკუთარ ხალხზე ზრუნვას.

აცრების სანაცვლოდ "თალიბანი" საჰაერო იერიშების შეწყვეტას ითხოვს

გასულ თვეში "თალიბანმა" პოლიომიელიტის აცრების ჩატარების სანაცვლოდ ამერიკის მიერ უპილოტო თვითმფრინავებიდან თავდასხმების შეწყვეტა მოითხოვა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, აცრის გარეშე ჩრდილო-დასავლეთ პაკისტანში დაახლოებით 280 000 ბავშვია დარჩენილი. პაკისტანის მასშტაბით ორგანიზაციის 180 000 თანამშრომელი მუშაობს, რომლებმაც 5 წლამდე ასაკის 34 მილიონი ბავშვი უნდა აცრან.

გასულ თვეში, როდესაც აცრები დაიწყო, ჩრდილო-დასავლეთ პაკისტანში "თალიბანის" ლიდერმა ჰაფიზ გულ ბაჰადურმა განაცხადა, რომ "სანამ საჰაერო იერიშები არ შეწყდება, ჩრდილო ვაზირისტანში აცრები აიკრძალება. საჰაერო იერიშები პოლიომიელიტზე უარესია."

პაკისტანი იმ ქვეყნების სამეულში შედის, სადაც ეს დაავადება განსაკუთრებით არის გავრცელებული. დაავადების წამალი არ არსებობს და მისი თავიდან აცილების ერთადერთ საშუალებად აცრა რჩება. ჯანდაცვის ორგანიზაციის ცნობით, სხვა ქვეყნებმა სწორედ აცრების გზით შეძლეს მისი დამარცხება.

რუსეთის სანაპირო დაცვამ ჩინური ხომალდები დააკავა

გუშინ იაპონიის ზღვაში რუსეთის სანაპირომ დაცვამ რუსეთის მიერ კონტროლირებულ წყლებში თევზჭერის გამო ჩინეთის ორი ხომალდი და 36 მეთევზე დააკავა. ჩინელი მეთევზეების წინააღმდეგობის შემდეგ, სანაპირო დაცვამ გასროლა დაიწყო. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. რუსული მედიასაშუალებების ცნობით, მეთევზეებს თევზჭერის ნებართვა არ აღმოაჩნდათ. ჩინურმა მედიასაშუალებებმა ხომალდებისათვის ცეცხლის გახსნას "თავზეხელაღებული" ნაბიჯი უწოდეს.

ამერიკელ ამომრჩეველს დარეგისტრირება "ფეისბუქის" საშუალებით შეეძლება

ვაშინგტონი ამერიკის პირველი შტატი გახდება, სადაც ამომრჩევლებს დარეგისტრირება სოციალურ ქსელ "ფეისბუქის" საშუალებით შეეძლებათ. რეგისტრაციის გავლის მსურველებს პირადობისა და მართვის მოწმობის მონაცემების შეყვანა მოუწევთ. ამომრჩეველთა ონლაინ-რეგისტრაცია ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების წინ დაიწყება, რომელიც 2012 წლის ნოემბერში გაიმართება.

ამერიკელმა მფრინავმა გატაცებულ თვითმფრინავში თავი მოიკლა

ამერიკელმა მფრინავმა ბრაინ ჰედლიგმა, რომელიც მეგობარი გოგონას მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი, იუტაში სამგზავრო თვითმფრინავი გაიტაცა, სადაც თავი მოიკლა. როდესაც 40 წლის ჰედლიგის ცხედარი იპოვნეს, თვითმფრინავის ძრავა ჯერ კიდევ მუშაობდა. ჰედლიგმა სამშაბათს დილით კომპანია SkyWest Airlines კუთვნილი თვითმფრინავი გაიტაცა. გავრცელებული ინფორმაციით, მის გარდა თვითმფრინავში არავინ ყოფილა. 40 წლის მფრინავი 39 წლის მეგობარ კრისტინა კორნეოს მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი. კორნეო და ჰედლინგი - ორივენი ამერიკის კოლორადოს ეროვნულ გვარდიაში მსახურობდნენ.

"თალიბანის" ბომბმა ნატო-ს 22 სატვირთო მანქანა გაანადგურა

ჩრდილოეთ ავღანეთში სამანგანის პროვინციაში თალიბანის მიერ ჩაფლულმა ბომბმა ნატო-ს 22 სატვირთო მანქანა გაანადგურა, რომლებსაც კოალიციის ჯარისკაცებისათვის ტვირთი გადაჰქონდა. აღნიშნულის შესახებ ცნობას აქვეყნებს პოლიციაც და "თალიბანიც". დაჭრილია ერთი ადამიანი. "დაახლოებით 2:00 საათისათვის მოჯაჰედებმა იერიში დამპყრობელ ნატო-ს სატვირთოებზე განახორციელეს," - საუბარია "თალიბანის" განცხადებაში.

მეზობელ ბაგლანის პროვინციაში "თალიბანის" ათი წევრი დააკავეს, რომელთაც ე.წ მაგნიტური ბომბები აღმოაჩნდათ. ბომბებს სატვირთო მანქანებზე მისამაგრებლად იყენებდნენ.

მოამზადა თამთა კახაძემ

ბრძოლები დამასკოში თუ დამასკოსთვის?

პირველი გვერდიდან

დაღუპული თავდაცვის მინისტრი

დამასკოსთვის არნახული მასშტაბის ტერაქტს თავდაცვის მინისტრი დაუდ რაჯა, მისი მოადგილე და ამავდროულად ბაშარ ალ-ასადის სიძე ასეფ შაუქათი ემსხვერპლნენ. დაშავებულთა შორისაა დაზვერვის შეფი ჰიშამ ბეხთუარი და შინაგან საქმეთა მინისტრი მუჰამედ აშ-შაარი. თუმცა ამ უკანასკნელზე სხვადასხვა საინფორმაციო წყაროს მიერ განსხვავებული ცნობები ვრცელდება - ზოგიერთი მათგანის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი, ასევე, გარდაიცვალა.

ტერაქტი პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის დაახლოებული წრის ერთ-ერთი წარმომადგენლის პირადმა მცველმა განახორციელა, მაგრამ მომხდარზე პასუხისმგებლობა რადიკალურმა ისლამისტურმა დაჯგუფება "ლივა ალ-ისლამმა" და სირიის გამათავისუფლებელმა არმიამ აიღეს. დამასკოს ტერაქტს დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყება მალევე გამოეხმაურა. გაერთიანებული სამეფოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა უილიამ ჰეიგმა სირიის მინისტრთა კაბინეტის შეხვედრაზე მოწყობილი ტერაქტი დაგმო. განცხადებები ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამ და მისმა ბრიტანელმა კოლეგამ ფილიპ ჰამონდმაც გააკეთეს. "ვითარება სირიაში მეტისმეტად სწრაფად გახდა უკონტროლო, სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესია, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ მაქსიმალური ზეწოლა მოახდინოს რეჟიმზე, სირიის პრეზიდენტი უნდა გადადგეს. მნიშვნელოვანია ასევე ის პასუხისმგებლობა, რაც ასადს და მის გუნდს სირიის ქიმიური ობიექტების უსაფრთხოებაზე ეკისრება," - განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივანმა ლეონ პანეტამ. "ვფიქრობ, აშკარაა, რომ მეტი შემართება აქვს ოპოზიციას, რომელიც საკმაოდ შეიარაღებულია. მინდა ხაზი გავუსვა კოფი ანანის გეგმის განხორციელების აუცილებლობას, რომ ძალაუფლების გადაცემა მშვიდობიანი გზით მოხდეს," - აღნიშნა ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ფილიპ ჰამონდმა.

კოფი ანანის გეგმის განხილვა და, მით უფრო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მეშვიდე მუხლის შესაბამისად რეზოლუციის ამოქმედებაზე მსჯელობა უშიშროების საბჭოში გადაიდო. შეხვედრა გუშინ საღამოს უნდა გამართულიყო, მაგრამ მონაწილეებმა დამასკოს სისხლიანი მოვლენების გამო მისი გადადება ამჯობინეს. დასავლელი ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ დამასკოს მოვლენები უშიშროების საბჭოს შეხვედრას მეტ სიმწვავეს შესძენს და, შესაბამისად, დასავლეთისა და რუსეთ-ჩინეთის პოლიტიკური დუელიც შედგება, ყოველ შემთხვევაში შესაძლოა, მათ კარტების ბოლომდე გახსნაც მოუხდეთ. ჯერჯერობით კი სურათი ასეთია: ბრძოლა დამასკოში თუ დამასკოსთვის? თვითმხილველები პარასკევის შემდეგ რეჟიმის წინააღმდეგ თავდასხმითი ოპერაციების შესახებ ყვებიან, ხელყუმბარების აფეთქებების ხმა ისმის დამასკოში, საბაას ბარათის მოედანზე, სადაც ცენტრალური ბანკია განთავსებული. ბაშარ ალ-ასადს ტანკებით მთელი ქალაქის მთავარი ქუჩები აქვს გადაკეტილი, სნაიპერები არიან განთავსებულნი გარეუბან თადამონში მდებარე შენობების სახურავებზე, თიშრინის სტადიონს კი არმია სამხედრო ბაზად იყენებს. ქალაქის სამხრეთით ქაფრ სუზაში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს, შეტაკებებია სამხრეთ-აღმოსავლეთ მიდანის რაიონში, სადაც უშიშროებისა და ძალოვანი სტრუქტურების შენობები მდებარეობს, ქალაქის ისტორიული ცენტრიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით კი საპრეზიდენტო სასახლე და ქვეყნის უმთავრესი სამხედრო აეროდრომი მდებარეობს.

სირიის არმიის ყოფილი ბრიგადის გენერალი მოვლენების ასეთ განვითარებას რევოლუციის ბუნებრივ და მოსალოდნელ გაგრძელებად აფასებს. "ზუსტი თარიღის თქმა არ შემიძლია, შესაძლოა, სისხლისღვრა კიდევ რამდენიმე თვე გაგრძელდეს; მაგრამ შეიძლება რამე მოულოდნელი მოხდეს, რასაც საერთაშორისო ინტერვენიცა მოჰყვება. მთელი ამბოხის განმავლობაში ასადის რეჟიმმა რევოლუციის შესაჩერებლად ყველა საშუალება, რესურსი და არსენალი გამოიყენა, მაგრამ უშედეგოდ. მმართველმა რეჟიმმა ვერ შეძლო რევოლუციის დამთავრება მიუხედავად იმისა, რომ იყენებდა არმიას, პოლიციას, დაზვერვას "შაბიჰს" ანუ საიდუმლო მილიციას, ირანის, რუსეთისა და "ჰეზბოლას" დახმარებას. მიუხედავად იმისა, რომ ამბოხებულებსა და სახელმწიფო არმიას შორის სამხედრო ბალანსი დაცული არ არის, ხალხმა მტკიცედ გადაწყვიტა თავისუფლების მოპოვება და რეჟიმის დამთავრება," - განაცხადა სირიის არმიის ყოფილმა ბრიგადის გენერალმა აკილ ჰაშემიმ "ალ-ჯაზირას" ეთერში. ჰაშემის მოსაზრებას ეთანხმება ლონდონის ეკონომიკის სკოლის აღმოსავლეთმცოდნეობისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი ფავაზ ჯერჯესიც, რომლის აზრითაც, ოპოზიცია ფსიქოლოგიურად გაძლიერებულია და მისი მოქმედებაც ხალხისთვის მრავლისმთქმელი გზავნილის შემცველია - ასადის რეჟიმს საძირკველი შეერყა და უკვე აღარაა ძველებურად ძლიერი. "მთავარია, რომ რეჟიმმა დაკარგა ძალაუფლება ქვეყნის მასშტაბით ყველა მნიშვნელოვან პოზიციაზე - ჰომსი, ჰამა, დერაა, იდლიბი, დეირ ალ-ზური, ალეპო - ეს უკვე ამბოხებულთა ექსპანსიაზე მიუთითებს, დრო კი სირიის მთავრობის სასარგებლოდ აღარ მუშაობს, რადგან იგი ალყაშია როგორც საშინაო, ასევე საგარეო ფრონტზე," - აღნიშნა ფავაზ ჯერჯესიმ.

დამასკოში მომხდარი აფეთქების შემდეგ თავდაცვის მინისტრის პოსტზე სასწრაფოდ დაინიშნა ფაჰად ჯასი, რომელმაც პირველი განცხადებაც გაავრცელა და დამნაშავეების სასტიკად დასჯის პირობა დადო. მანამდე კი, ვიდრე ასადის დასუსტებული რეჟიმი თავისი ძლიერებისა და ლეგიტიმურობის დამტკიცებას ცდილობს, ცნობილი გახდა ისიც, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სირიის რეჟიმს ეკონომიკური სანქციები დაუწესა - ასადს, პრემიერ-მინისტრს, 28 მინისტრსა და სხვა მაღალჩინოსნებს ყველა აქტივი გაუყინა. დასავლელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თუ მასშტაბური ტერაქტი ძალოვანი სტრუქტურების გავლენის წინააღმდეგ მიმართული სპეცშეკვეთა არ იყო, ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს იმაზე, რომ ასადის რეჟიმის დღეები დათვლილია.

ლიბიის არჩევნებში ლიბერალური ალიანსი ლიდერობს

ივა შილაკაძე

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა 7 ივლისს ჩატარებული საყოველთაო არჩევნების შედეგები, რომლის თანახმადაც, ლიბერალური პარტიების ბლოკი - "ეროვნული ძალების ალიანსი" ლიდერობს. მას სათავეში უდგას დროებითი გარდამავალი მთავრობის პრემიერი მაჰმუდ ჯიბრილი. "ეროვნული ძალების ალიანსმა" დროებით პარლამენტში - საყოველთაო ეროვნულ კონგრესში 39 მანდატი მიიღო იმ 80 მანდატიდან, რომელიც პოლიტიკური პარტიებისთვის იყო გამოყოფილი და პროპორციული სისტემით ნაწილდებოდა. მეორე ადგილზეა "სამართლიანობისა და აღმშენებლობის პარტია", რომელიც პანარაბული მოძრაობა "მუსულმანი ძმების" პოლიტიკური ფრთაა ლიბიაში. მათ 17 მანდატი მიიღეს. დანარჩენი 24 მანდატი შედარებით წვრილ, უმთავრესად რეგიონულ პარტიებზე განაწილდა.

სულ არჩევნებში 100-ზე მეტი პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა, რომელთაგან უმრავლესობა სულ რამდენიმე თვის შექმნილია. საყოველთაო ეროვნულ კონგრესში 200 ადგილია. ას ოცი დეპუტატი აირჩიეს ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში. ამ ადგილებზე დამოუკიდებელი კანდიდატები იყრიდნენ კენჭს, თუმცა ზოგიერთი მათგანი ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელია. 200 დეპუტატი ქვეყნის პროვინციებზე გადანაწილებულია ტერიტორიული პრინციპითაც და ამ განაწილებას საფუძვლად მოსახლეობის რაოდენობა დაედო. 100 დეპუტატი დასავლეთის პროვინციებს წარმოადგენს, 60 - აღმოსავლეთს, ხოლო 40 - სამხრეთს.

საყოველთაო ეროვნულ კონგრესს საკანონმდებლო ფუნქციები აქვს მინიჭებული. მან უნდა ჩამოაყალიბოს მთავრობა და მიიღოს ახალი საარჩევნო კანონი. კონგრესის მოქმედების ვადა, სულ ცოტა, ერთი წლით არის განსაზღვრული.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო რეგისტრირებული ამომრჩევლების დაახლოებით 62-მა პროცენტმა - 2,7 მილიონმა ადამიანმა. ლიბერალებმა არჩევნების დამთავრების შემდეგ მალევე განაცხადეს საკუთარი გამარჯვების შესახებ, თუმცა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მათ მოუწოდა, ოფიციალურ შედეგებს დალოდებოდნენ. გუშინ გამოცხადებული შედეგები მიღებულია ხმების მთლიანი რაოდენობის დათვლის საფუძველზე, თუმცა ეს მაინც წინასწარი შედეგებია. ორი კვირა გამოყოფილია შესული საჩივრების განსახილველად და საბოლოო შედეგებიც სწორედ ორი კვირის შემდეგ გამოცხადდება. თუმცა, სავარაუდოდ, ეს მონაცემები პრინციპულად არ შეიცვლება, რადგან არჩევნებმა, მთლიანობაში, მშვიდობიანად და ნორმალურ ვითარებაში ჩაიარა. ეს ევროკავშირის დამკვირვებლებმაც დაადასტურეს.

თუმცა, იყო ძალადობის ცალკეული შემთხვევებიც და ტექნიკური გაუგებრობებიც. აჯაბიაში საარჩევნო უბანთან ახლოს სროლის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა, ბენღაზის მახლობლად (აღმოსავლეთში სეპარატისტული განწყობილებები შეიმჩნევა) ცეცხლი გაუხსნეს ვერტმფრენს, რომელსაც ბიულეტენები გადაჰქონდა. დაიღუპა ერთი პილოტი და ვერტმფრენს ავარიულ რეჟიმში დაჯდომა მოუწია. უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, 1500 საარჩევნო უბნიდან დაახლოებით 100 საერთოდ არ გაიხსნა.

ჯერ მაინც ნაადრევია ლაპარაკი პარლამენტში ძალთა ბალანსზე, შესაბამისად, მოგებულებსა და წაგებულებზე. ზომიერი ისლამისტები - "სამართლიანობისა და აღმშენებლობის პარტიის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დამოუკიდებელ დეპუტატებს შორის მათი ბევრი მომხრეა, თუმცა სინანული გამოთქვეს იმის გამო, რომ პარტიული სიით გამარჯვება ვერ შეძლეს. დამოუკიდებელი დეპუტატების ხმებისთვის და მთავრობის ჩამოყალიბებისთვის ბრძოლა ალბათ სწორედ ამ ორ ძირითად ძალას - ლიბერალებსა და ისლამისტებს შორის გაჩაღდება. თუმცა არ გამოირიცხება ეროვნული ერთიანობის მსხვილი კოალიციის შექმნაც. მსგავსი წინადადებით წინა კვირაში გამოვიდა მაჰმუდ ჯიბრილი. ამ მოწოდებას თავშეკავებით, მაგრამ მაინც შეუერთდნენ მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები.

ბოლო დამოუკიდებელი საპარლამენტო არჩევნები ლიბიაში 1952 წელს, ამ ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მიღებიდან მოკლე ხანში ჩატარდა. ბოლო საყოველთაო არჩევნები კი ჩატარდა 1965 წელს, როცა ქვეყანაში პოლიტიკური პარტიები უკვე აღარ იყო. პოლკოვნიკ მუამარ კადაფის 42-წლიანი მმართველობის პერიოდში არჩევნები საერთოდ არ ტარდებოდა.

მსოფლიო მუსიკის დღეები

პირველი გვერდიდან

ეს გახლავთ ფრანგული პროექტის, Fete de la musique-ს ქართული ანალოგი.

ჯაზფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიების ორგანიზატორი კომპანია Alter Events-ი გახლავთ, თავად ღონისძიებამ კი სტარტი გუშინ აიღო და 22 ივლისამდე, ჯაზფესტივალის დასასრულამდე გასტანს. ქართული Fete de la musique-ს კონცერტები ბათუმის ბულვარში გაიმართება.

ახლა კი თვით პროექტის შესახებ: 19-დან 20 საათამდე ანუ ვიდრე ბათუმის კორტებზე ჯაზფესტივალის მონაწილე ჯგუფებისა და შემსრულებლების კონცერტები დაიწყება, ბულვარში სპციალურად აღმართულ სცენაზე ქართული ჯგუფების ცოცხალი კონცერტები გაიმართება. ქართული ბენდები მსმენელს როგორც საკუთარ, ისე უცხოელი ვარსკვლავების ცნობილი კომპოზიციების ქოვერ ვერსიებსაც შესთავაზებენ, რაც, დაგვეთანხმებით, ყოველთვის კარგი მოსასმენია. ეს კონცერტების სერია ძირითადად ახალგაზრდა თაობაზეა გათვლილი - ემსახურება არა მხოლოდ ახალგაზრდა მსმენელის გართობას, არამედ ჯგუფების შემოქმედების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციასაც. როგორც წესი, ქართულ ახალგაზრდულ ბენდებს იშვიათად ეძლევათ მსმენელის წინაშე წარდგომის საშუალება, ამიტომ მათ მუსიკას საზოგადოება ნაკლებად იცნობს, არადა სავსებით შესაძლებელია, რომელიმე მათგანის შემოქმედება იმდენად საინტერესო იყოს, სამუდამოდ გააქარწყლოს აზრი, თითქოს ამ ქვეყანაში მხოლოდ "მგზავრები" მღერიან და უკრავენ... მოკლედ იდეა კარგია, ახლა მთავარი მისი განხორციელებაა.

რაც შეეხება ღონისძიებაში მონაწილე ჯგუფებს, მათ ჩამონათვალში რამდენიმე ისეთიც მოხვდა, რომელსაც მსმენელი, ასე თუ ისე, ჰყავს: ZurGi, LOUDspeakers, The Balloon Shooters, Salio, Dato Lomidze & The Jet Bird და AnichkA & Coo. ამ ჯგუფებიდან ერთ-ერთი - Salio - სალომე კორკოტაშვილის, ბექა ჯაფარიძის, ლადუკა ნინუასა და პეპეს შემადგენლობით, ჯაზფესტივალის ძირითად პროგრამაში იყო ჩართული. ჯგუფმა უკვე გამართა კონცერტები კლუბ Take Five-სა და კოლონადებთან. თუ ჩამოთვლილი ჯგუფების შესახებ გაკვრით მაინც ფლობთ ინფორმაციას, იოლად შეძლებთ არჩევანის გაკეთებას და სასურველ მუსიკასაც მოუსმენთ.

ZurGi

ახლა კი ორიოდე სიტყვა Fete de la musique-ს შესახებ, რომელსაც The World Music Day-საც უწოდებენ. ფესტივალი სხვადასხვა ქალაქში ყოველწლიურად 21 ივნისიდან, მზის ბუნიობის დღიდან იმართება. პირველად ის 1982 წელს პარიზში ჩატარდა, ფესტივალის ორგანიზატორი კი საფრანგეთის მაშინდელი კულტურის მინისტრი ჟაკ ლანგი გახლდათ. დროთა განმავლობაში "მსოფლიო მუსიკის დღე" გასცდა საფრანგეთის საზღვრებს და მსოფლიო მოვლენად იქცა. ამჟამად Fete de la musique ასი ქვეყნის 340-მდე ქალაქში ტარდება, მათ რიცხვს ამჯერად ბათუმიც შეემატა, რაც, იმედია, სამომავლოდ ტრადიციად იქცევა.

აქვე Fete de la musique-ის მთავარი მახასიათებლის შესახებაც გეტყვით - კონცერტები ღია ცის ქცეშ ტარდება და, ცხადია, უფასოა. მუსიკოსები, წინასწარ მომზადებული პროგრამის გარდა, იმპროვიზაციასაც უხვად გვთავაზობენ. გარდა ამისა, ნებისმიერ მსურველს შეეძლება, სცენაზე ავიდეს, ბენდს შეუერთდეს და მათთან ერთად გადაეშვას მუსიკის მორევში...

P.S. დღეს შავი ზღვის ჯაზფესტივალის მთავარი საკონცერტო აფიშა იხსნება. სცენაზე მსოფლიო ჩემპიონი ბიტბოქსში Butterscotch-ი წარდგება, შემდეგ კი ჯაზის ლეგენდა ლარი გრეჰემი და მისი ბენდი Graham Central Station გამოვა. ამ კონცერტისა და ჯაზფესტივალის დანარჩენი აფიშის შესახებ ინფორმაციას "24 საათის" ხვალინდელ ნომერში წაიკითხავთ.

სასერტიფიკაციო გამოცდების გამოძახილი

ბელა ჩეკურიშვილი

სასერტიფიკაციო გამოცდების ჩასაბარებლად წელს 41 ათასმა მასწავლებელმა გაიარა რეგისტრაცია. გამოცდები დასრულდა, შედეგები აგვისტოში გახდება ცნობილი. რამდენად მოაგვარებს მასწავლებელთა სერტიფიცირება საზოგადოების მოთხოვნას, ჩვენს შვილებს კვალიფიციურმა პედაგოგებმა ასწავლონ და მასწავლებლის სახელი აღარ იყოს დაცინვისა და ხუმრობის საგანი, ამას დრო გვიჩვენებს. მანამდე კი საინტერესოა თვითონ პედაგოგთა დამოკიდებულება აღნიშნული გამოცდების მიმართ. ჩვენც გვიჩნდება კითხვა: რას აძლევს მათ სასერტიფიკაციო გამოცდები, გარდა სერტიფიკატისა? საგნის ცოდნის დამადასტურებელი დიპლომი და თვითონ ცოდნაც ხომ მათ უნივერსიტეტებში მიიღეს...

"მას შემდეგ, რაც პროფესიულ უნარებსა და ჩემს საგანში პროგრამას გადავხედე, მივხვდი, რომ ეს სწორედ ის საკითხები იყო, რომელთა ღრმად შესწავლა ან ადრე ნასწავლისკენ უკან მიბრუნება ჩემი პედაგოგიური პრაქტიკისთვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა," - ამბობს ქართულ-ინგლისური სკოლა "ბრიტანიკას" ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი მაკა სახურია, რომელმაც ახლახან ჩააბარა სასერტიფიკაციო გამოცდა პროფესიულ უნარებში.

რას გვაძლევს სასერტიფიკაციო გამოცდები, გარდა სერტიფიკატისა? ამაზე მსჯელობა პედაგოგება ახლახან დაიწყეს, მას შემდეგ, რაც გამოცდების ჩაბარების მოთხოვნით მოგვრილმა შოკმა გადაიარა. მათთვის, ვინც საკუთარ პროფესიას ღირსების საქმედ თვლის, მუდამ საინტერესოა მათ სფეროში გამოჩენილი ყოველი სიახლე, იქნება ეს ინფორმაციული თუ მეთოდოლოგიური.

მაკა სახურია: ქართული განათლების სისტემასა და სასკოლო რეფორმაში ოდნავ მაინც ჩახედული ადამიანი დამიდასტურებს, რომ ჩვენს ქვეყანაში მასწავლებლის კვალიფიკაციის პრობლემა სერიოზულად დგას და ეს მისახედია. მასწავლებელი კოლეგებს, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის მაღალი რეპუტაციით უნდა სარგებლობდეს, მის პროფესიონალიზმსა და ობიექტურობაში ეჭვი ვერ უნდა შეიტანონ. ეს იმდენად საპასუხისმგებლო საქმეა, რომ ძალიან მკაცრი შემფასებელი ვარ ხოლმე საკუთარი თავისაც და სხვათა მიმართაც. სკოლა უნდა დატოვოს იმან, ვინც ვერ ასწავლის ან მოსწავლეებზე უარყოფით გავლენას ახდენს."

მასწავლებელთა დაბალი პროფესიონალიზმი ბევრმა ფაქტორმა განაპირობა, მისი ძირითადი მაპროვოცირებელი კი საბჭოთა განათლების სისტემა და პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარებული მოვლენებია. დაბალი ანაზღაურება სტიმულს უკარგავდა პედაგოგს საიმისოდ, რომ საკუთარ კვალიფიკაციაზე სათანადოდ ეზრუნა. გამოცდების ცენტრის მიერ გამოცემული ახალი სახელმძღვანელოების პაკეტი რვა სქელტანიანი წიგნისგან შედგება. მაკა სახურიას თქმით, მათი გაცნობა სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, მართვისა და შეფასების საკითხები მეტ-ნაკლებად ცნობილია, მაგრამ სწავლის თეორიების შესწავლას უკვე გამოცდაჩაბარებული პედაგოგები მეტად სასარგებლოდ და მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. პროფესიული უნარების პროგრამაში შეტანილია მსოფლიოს საუკეთესო მეცნიერთა თეორიები, რომელთა ცოდნა არა მარტო სასურველი, სავალდებულოა.

"სწავლისა და სწავლების თეორიები იძლევა უნიკალურ ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაიაზროს მასწავლებელმა სასწავლო პროცესი, როგორ ჩაწვდეს მოსწავლის ფსიქოლოგიურ სამყაროს, რა სისტემებში მოაქციოს სწავლება და რა ოპტიმალური გზები არსებობს საიმისოდ, რომ ეს პროცესი როგორც მოსწავლისთვის, ისე მასწავლებლისთვისაც არა წამებად, არამედ - სიამოვნებად იქცეს, შემეცნების სასარგებლო პროცესად. შთაბეჭდილების ქვეშ ვარ სწავლის თეორიებთან დაკავშირებით. პედაგოგი უსათუოდ კარგად უნდა იცნობდეს კოგნიტური განვითარების, კონსტრუქტივიზმის, ბიჰევიორიზმის, მრავალმხრივი ინტელექტის, მორალური განვითარების და სხვა თეორიებს, რომელთა საფუძვლების ცოდნა მას დაეხმარება მოსწავლის ფსიქო-სოციალური საჭიროებების ცოდნასა და სწავლების პროცესის წარმატებულად და ეფექტიანად წარმართვაში. ან თუნდაც ჩვენი სახელოვანი მეცნიერის - დიმიტრი უზნაძის "განწყობის თეორია" რად ღირს? თითქმის ასი წლის წინ მან ფსიქოლოგიაში ისეთი ცოდნა მოგვცა, რომელიც არასდროს დაკარგავს მეცნიერულ ღირებულებას და პედაგოგისთვის მისი გააზრება აუცილებელია, რომ ის მოსწავლის ქცევის კონტექსტებსა და მოტივაციებს სათანადოდ "კითხულობდეს."

თუ გვინდა, რომ ქართულმა სკოლამ სამუდამოდ დააღწიოს თავი საბჭოური მემკვიდრეობის რეციდივებს, კარგად უნდა გავეცნოთ ცივილიზებული მსოფლიოს თანამედროვე პედაგოგიურ სწავლებებს და სიახლეები ჩვენს პრაქტიკაში დავნერგოთ. იმ მეთოდიკებს, რომელსაც გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილი პროგრამა ითვალისწინებს, ჩვენი პედაგოგები ადრე ნაკლებად იცნობდნენ. ის თაობა, რომელიც დღეს პედაგოგებად მუშაობენ, იმ დროს სწავლობდნენ უნივერსიტეტში, პედაგოგიკის სწავლება შორს იყო თანამედროვე მეცნიერებისგან. მაკარენკოს და სხვა საბჭოთა მეცნიერების შრომები თანამედროვეობის მოთხოვნებს ვერ პასუხობს. მასწავლებლების შეფასებით, ახალი პროგრამა სრულიად განსხვავებულია იმისგან, რაც მათ თავის დროზე ასწავლეს. ისინი დღეს იმ თეორიული ცოდნას იძენენ, რომელიც შემდეგ პრაქტიკაში ეფექტურად მუშაობს.

ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი მაკა სახურია ფიქრობს, რომ ის ცოდნა, რომელიც მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდისთვის მზადებისას შეიძინა, ძალიან დაეხმარება სწავლებასა და წარმატებული შედეგების მიღებაში. თუმცა კი მიაჩნია, ეს ერთჯერადი და მხოლოდ გამოცდისთვის მოსამზადებელი აქტი არ უნდა იყოს და მასწავლებელი მუდმივად უნდა იღრმავებდეს ცოდნას. "უკვე ვიცი, რა უნდა ვიკითხო და რა პრიორიტეტები უნდა მქონდეს სწავლების დროს. ახლა სულ სხვა თვალით ვუყურებ სასწავლო პროცესის დაგეგმვის, მენეჯმენტისა და შეფასების საკითხებს. ობიექტური შემფასებლის რეპუტაცია პედაგოგის იმიჯისთვის უმთავრესია. შეფასების რუბრიკები, რომელთა შედგენის ახალი ტექნოლოგიები ვისწავლე, სუბიექტურობას გამორიცხავს, რადგან მის შედგენაში კოლეგებსა და მოსწავლეებსაც ჩავრთავ. ჩემი გაკვეთილი არასდროს იქნება მოსაწყენი და გაუსაძლისი, რადგან მე ვიცი ახალი მეთოდები, როგორ უნდა დავაინტერესო მოსწავლე და რა სიახლეები შევთავაზო სხვადასხვა ტიპის, მრავალფეროვანი და შემეცნებითი გაკვეთილების სახით," - ასეთია პედაგოგის განწყობა. ჩვენ კი პასუხად კიდევ დავძენთ: აღდგომა და, ხვალეო.

საწვავის იმპორტი იზრდება

პირველი გვერდიდან

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბენზინის მოხმარება არა თუ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა კიდეც.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში საწვავის იმპორტი კატეგორიების მიხედვით გაზრდილია. კერძოდ, რეგულარის ტიპის ბენზინის მოხმარებამ შეადგინა 70 პროცენტი. გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით რეგულარის ტიპის ბენზინის მოხმარება გაზრდილია 7 პროცენტით, პრემიუმის - 26,5 პროცენტია (გაზრდილია 6 პროცენტით), სუპერის - 3 პროცენტია, ამ კატეგორიის საწვავის მოხმარება გაზრდილია უმნიშვნელოდ. ევრო დიზელის მოხმარებამ შეადგინა 31,62 პროცენტი (გაზრდილია 4 პროცენტით), ხოლო L-62 მარკის დიზელის საწვავის მოხმარებამ - 68 პროცენტი (გაზრდილია 3 პროცენტით).

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის განცხადებით, კატეგორიების მიხედვით საწვავის იმპორტის მაჩვენებლის ზრდა გამოწვეულია იმით, რომ ბოლო პერიოდში მიმდინარეობს ავტოპარკის განახლება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში. საწვავის მოხმარებასთან ერთად, იზრდება ასევე სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლები, რაც ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

მთლიანობაში, საწვავის მოხმარების გაზრდა განპირობებულია ეკონომიკის ზრდით, ინფრასტრუქტურული პროექტების დიდი მოცულობით, სატრანზიტო გადაზიდვების, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გააქტიურებით, ტურისტების შემოდინებით, ზოგადად ავტოპარკის გაზრდით. ასევე, მოსალოდნელია, რომ საწვავის მოხმარების მზარდი ტენდენციები შემდგომშიც გაგრძელდება, რადგან იწყება ზაფხულის - შვებულებებისა და ტურისტული სეზონი, როდესაც განსაკუთრებულად აქტიურია ტრანსპორტით მოძრაობა.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელი ვანო მთვრალაშვილი აღნიშნავს, რომ "საქართველოში ფასის ინდიკატორი, რა თქმა უნდა, საერთაშორისო ბაზარია. მსოფლიოში ეკონომიკური ვითარება არ არის ისეთი, რომ საწვავზე მაღალი ფასი იყოს, მაგრამ ამ პროცესებს ირანის ფაქტორი განაპირობებს. თუ ვითარება ესკალაციისკენ წავა, ცხადია, მომავალშიც ფასის უცაბედ ზრდას გამოიწვევს. მით უმეტეს, რომ ტურისტული სეზონია, რაც საწვავზე მოთხოვნას უფრო მეტად ზრდის."

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით საწვავი 35 პროცენტით ძვირია. ლარზე დაანგარიშებით, ამერიკაში ერთი გალონი საწვავი - 6,31 ლარი, საქართველოში კი 9 ლარი ღირს.

რა განაპირობებს ფასების ასეთ სხვაობას? ამ კითხვაზე ნავთობიმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე განმარტავს, რომ მიზეზი საგადასახადო გარემოა. ვანო მთვრალაშვილის თქმით, ამერიკა მსოფლიო ბაზარზე არსებული ნავთობის მეხუთედს მოიხმარს და იქ საგადასახადო კანონმდებლობა ლოიალურია. მისივე განმარტებით, ქართულ ბაზარზე საწვავი აქციზით, ასევე დამატებითი ღირებულების გადასახადით იბეგრება და მისი გაიაფების ერთ-ერთი გზა შესაძლოა საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლა იყოს.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელის თქმით, საქართველოში დღეისთვის ადგილობრივ ბაზარზე საერთოდ არ იყიდება აღურიცხავი კონტრაბანდული საწვავი; არ ხდება პროდუქციის ფალსიფიკაცია. საწვავის თითოეული რეალიზებული ლიტრი დეკლარირებულია და, შესაბამისად, ყველანაირი სახელმწიფო გადასახადი გადახდილია. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში რეალიზებული საწვავის ხარისხი მაღალია. აქვე შედარებისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საწვავის იმპორტის სტატისტიკა, მაგალითად, სომხეთთან მიმართებაში, რადგან საუბარია იმაზე, რომ სომხეთში საწვავი უფრო იაფია. 2011 წელს სომხეთში იმპორტირებულ იქნა 358 ათასი ტონა ბენზინი და დიზელის საწვავი, მაშინ, როცა საქართველოში იმპორტმა 780 ათასი ტონა შეადგინა. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში სომხეთში გასულ წელს 100 მლნ ლარამდე შევიდა, ხოლო საქართველოში - 450 მლნ ლარამდე.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების 100 პროცენტი "საპარტნიორო ფონდისთვის"

ნინო ნარჩემაშვილი

"საპარტნიორო ფონდში" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების აქციების სრული ინვესტირება მოხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ საწარმოს სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ყველა აქცია სს " საპარტნიორო ფონდის" საკუთრება ხდება, მთავრობა ფონდს თავის კუთვნილ აქციებს გადასცემს. სს "საპარტნიორო ფონდის " წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ " საქართველოს მთავრობის 2011 წლის 2 ივნისის დაგენილებაში ნათქვამია: "საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყონ: სს "ნავთობისა და გაზის კორპორაციის" აქციათა 100 პროცენტის სს " ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" აქციათა 100 პროცენტის, სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის " აქციათა 100 პროცენტის და "თელასის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების 24,529 პროცენტის (19 904 783 ცალი ჩვეულებრივი აქცია) "საპარტნიორო ფონდში" სრული ინვესტირება."

ინფორმაციისთვის - სს საპარტნიორო ფონდი წარმოადგენს კერძო კაპიტალის ფონდს, რომელიც სახელმწიფომ 2011 წლის 28 ივნისს დააფუძნა. სახელმწიფოს მფლობელობაშია მისივე 100 პროცენტი. ფონდი მიზნად ისახავს თანამშრომლობის განვითარებას საჯარო და კერძო სექტორებს შორის საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად, სამუშაო ადგილების შესაქმნელად, უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და საქართველოს ეკონომიკის გასავითარებლად. ფონდი ოთხ სექტორში ფუნქციონირებს - ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება და უძრავი ქონება. საპარტნიორო ფონდის ფინანსური მონაწილეობა შეზღუდულია პროექტის ჯამური კაპიტალის 49 პროცენტამდე, ხოლო პროექტის ჯამური ღირებულების - 25 პროცენტამდე. დანარჩენი კაპიტალი სტრატეგიული ინვესტორის მიერ არის უზრუნველსაყოფი. ახალი კანონპროექტით, სს-"საპარტნიორო ფონდში" აღარ გადაირიცხება პრივატიზაციიდან მიღებული თანხები, თუმცა ფონდს უფლება ეძლევა, თავად მოიზიდოს ფინანსები და გრანტები საერთაშორისო ინსტიტუტებიდან, დაფინანსების წყაროს ასევე ემატება დამფუძნებლის შენატანები ფონდის კაპიტალში.

ამ დრომდე სს "საპარტნიორო ფონდი" ფლობდა სს "საქართველოს რკინიგზის" აქციათა 24 პროცენტსს, სს "ნავთობისა და გაზის კორპორაციის" 24 პროცენტს, "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" 49 პროცენტს და

"ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" (ესკო) 49 პროცენტიან წილს. სს "საპარტნიორო ფონდის" კაპიტალშია "თბილისის ლოჯისტიკის ცენტრი."

ცვლილებების მიხედვით, ინვესტირების განხორციელებისთანავე "საპარტნიორო ფონდმა" უნდა უზრუნველყოს სს "ნავთობისა და გაზის კორპორაციის", სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის", სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა " და სს "თელასის" აქციონერის ყველა უფლებამოსილების საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის გადაცემა (მართვის უფლებით გადაცემა). თუმცა, აქციების გასხვისების, დივიდენდის განაწილების, სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის, გაუქმების, წევრთა არჩევის და გამოწვევის უფლებამოსილება "საპარტნიორო ფონდს" დარჩება.

მთავრობის დადგენილებაში ცვლილება ნიკა გილაურმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და "საპარტნიორო ფონდის" ხელმძღვანელად დანიშვნის შემდეგ შეიტანა. დადგენილებას გილაური ხელს, როგორც პრემიერ-მინისტრობის მოვალეობის შემსრულებელი, აწერს.

გილაურის გადაწყვეტილება საკანონმდებლო მაცნეში უკვე გამოქვეყნდა. აღსანიშნავია, რომ სს "საპარტნიორო ფონდი" უხელმძღვანელებს "სსიპ- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს", ასევე "ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს". თავად სს "საპარტნიორო ფონდს" კი სათავეში ნიკა გილაური ჩაუდგება.

"საპარტნიორო ფონდი" პარლამენტის შენობაში, პრეზიდენტის ფლიგელში განთავსდება, ფონდის ახალი ხელმძღვანელი კი მუშაობას 10 ივლისიდან შეუდგება.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ "საპარტნიორო ფონდის" არსებობა საჭირო არაა, რადგან ქვეყანაში ძალიან ბევრი კომერციული ბანკი და საინვესტიციო ფონდია, საიდანაც ბიზნესს ფულადი რესურსის მოძიების საშუალება აქვს.

"საპარტნიორო ფონდთან" დაკავშირებით ექსპერტთა დამოკიდებულებას არ იზიარებს საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი გურამ ჩახვაძე. მისი თქმით, ასეთი ტაქტიკა არსებობს არა მარტო საქართველოში, არამედ ყველგან, მთელს მსოფლიოში. ამ კონკრეტულ შემთხვევებში სახელმწიფო კერძო სექტორში კი არ ერევა, არამედ ის კერძო ბიზნესის თანამონაწილეა, მხოლოდ პარტნიორია, ეს ფონდის სახელწოდებიდანაც ჩანს. სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობა ახალი არაა და ეს პირველად არ ხდება.

ცვლილებები "პროკრედიტბანკის" დირექტორატში

"პროკრედიტ ბანკის" დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებებია. ბანკის ინფორმაციით, ბანკის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე მაია მერედოვას საშა ტერნესი შეცვლის.

ბანკის ინფორმაციით, მაია მერედოვა თითქმის ექვსი წელია რაც ბანკის მენეჯმენტში მუშაობს, აქედან ბოლო ორი წლის განმავლობაში გენერალური დირექტორის პოზიციაზე. მან უდიდესი წვლილი შეიტანა კომპანიის წარმატებაში. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში პროკრედიტ ბანკმა მყარად დაიმკვიდრა მესამე უმსხილესი ბანკის პოზიცია ქვეყნის საბანკო სივრცეში.

საშა ტერნესთან (გენერალური დირექტორი) და ქეთევან ხუსკივაძესთან ერთად (დირექტორი), ქეთევან ბურდული დაინიშნა ბანკის მესამე დირექტორად (ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებას). ქეთევან ბურდულმა თავისი კარიერა "პროკრედიტში" რვა წლის წინ ბანკის საკრედიტო განყოფილებაში მუშაობით დაიწყო და 2010 წელს სათავეში ჩაუდგა მცირე ბიზნესის სამმართველოს.

ამას გარდა, ბანკის ექვსივე სამმართველოს უფროსი შევიდა გაფართოებული მენეჯმენტის გუნდში, რომელიც დირექტორების ჩათვლით 9 წევრისგან შედგება. ეს ნაბიჯი გადაიდგა ბანკის გრძელვადიანი ხედვის შესაბამისად, რათა გაიზარდოს მართვის უნარი და ამავდროულად თანდათან შემცირდეს უცხოელი მენეჯერების რიცხვი.

უახლოესი თვეების განმავლობაში მენეჯმენტის გუნდი კონცენტრირებული იქნება რამდენიმე მსხვილი პროექტის სისრულეში მოყვანაზე. კერძოდ. დაასრულებს ახალი სათავო ოფისის მშენებლობას, გაარემონტებს არსებულ ფილიალებს, გახსნის ახალ ფილიალებსა და სერვის ცენტრებს თბილისსა და რეგიონებში, კლიენტთა მომსახურების ეფექტურობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დანერგავს ახალ პროდუქტებს, როგორიცაა "ენერგო ეფექტურობის სესხი" და ახალი "შემნახველი ანგარიში".

"ხუთ წელიწადზე მეტია რაც პროკრედიტ ბანკი, საქართველოს მენეჯმენტის წევრი ვარ და ჩემთვის დიდი პატივია ვუხელმძღვანელო ასეთ გამორჩეულ ორგანიზაციას. ჩვენი გუნდის ძლიერი მხარდაჭერით, მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ეფექტურად წავუძღვე ბანკს თავისი მიზნებისა და მისიების განსახორციელებლად, რათა უზრუნველვყოთ საიმედო და სოციალურად პასუხისმგებლიანი საბანკო მომსახურება ჩვენი აქციონერის მოლოდინის სრულ შესაბამისობაში."- აცხადებს პროკრედიტ ბანკის, საქართველოს გენერალური დირექტორი საშა ტერნესი.

"ცვლილებები ბანკის მმართველობით სტრუქტურაში დიდი ხნის განმავლობაში იგეგმებოდა. კომპანიის მენეჯერული კომპეტენციის გაფართოება პროკრედიტ ბანკ, საქართველოს განვითარების მნიშვნელოვან დონეზე მეტყველებს. ყველა ახლად დაწინაურებულ ადგილობრივ მენეჯერს გავლილი აქვს ტრენინგები ჩვენს საერთაშორისო აკადემიებში მაკედონიასა და გერმანიაში, სადაც მათ გამოხატეს თავიანთი ერთგულება ეთიკური და განვითარებაზე ორიენტირებული საბანკო მომსახურებისადმი. სამეთვალყურეო საბჭოს სახელით, მსურს გულითადი მადლობა გადავუხადო მაიას პროკრედიტში ექვსი წლის განმავლობაში გაწეული სამსახურისა და ერთგულებისათვის, ხოლო ახალ მენეჯმენტს ვუსურვო ყოველივე საუკეთესო ჩვენი ბანკის შემდგომი განვითარებისათვის."- აღნიშნა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ფილიპ პოტმა

"დილას" დებიუტი და "მეტალურგის" ჩეხური ბარიერი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

დიმიტრი ტატანაშვილი სამი წლის წინ "პლზენის" მეგოლე იყო

რუსთაველებმა პირველი ეტაპი იოლად გადალახეს - ალბანური "ტეუტა" ორი მატჩის ჯამში 9:1 გაანადგურეს. კობა ჟორჟიკაშვილის გუნდს ამჯერად გვარიანი ბრძოლის გადატანა მოუწევს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად. "პლზენმა" შარშან ქვეყნის ჩემპიონობა და სუპერთასი მოიპოვა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც ითამაშა. წინა სეზონში კი მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა. ახლახან გუნდის მთავარ მწვრთნელს, პაველ ვრბას, 2015 წლამდე გაუხანგრძლივეს კონტრაქტი და ამ ამბისადმი მოწყობილ პრესკონფერენციაზე მან "მეტალურგთან" მოახლოებულ შეხვედრაზეც ისაუბრა: "ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე ბევრი არ მიფიქრია. გვსურს როგორც ჩეხეთის ჩემპიონატში, ისე ევროსარბიელზე წარმატებულად გამოვიდეთ. ევროპის ლიგაში რაც შეიძლება მეტი ეტაპის გავლას ვგეგმავთ. ასე რომ, რუსთავის "მეტალურგთან" ფეხის დაცდენა დიდი იმედგაცრუება იქნება".

მომავალ მეტოქეს კარგად იცნობს რუსთაველთა ფორვარდი დიმიტრი ტატანაშვილი. გავიხსენოთ, რომ 2008-2010 წლებში ის სწორედ "პლზენში" თამაშობდა და, ცხადია, საინტერესო იქნება მისი შეფასება ყოფილ თანაგუნდელებზე: "ვიცით, რა დონის მეტოქეს ვხვდებით. ბოლოს 2010 წელს ვიყავი "პლზენში". მას შემდეგ გუნდმა სწრაფი პროგრესი განიცადა და ქვეყნის ჩემპიონი გახდა. კლუბმა ძირითადი შემადგენლობის ბირთვი შეინარჩუნა. მაღალი დონის ფეხბურთელები არიან. გამოვარჩევ კაპიტან პაველ ხორვატს და ფლანგის მცველებს, რომლებიც აქტიურად ერთვებიან შეტევებში. დისციპლინირებული გუნდია, მაღალ ტემპში თამაშობენ და სწრაფად გადადიან დაცვიდან შეტევაში. ბურთის კონტროლიც ეხერხებათ. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ მეტოქესთან გვაქვს საქმე, მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობთ. მოუთმენლად ველით მატჩის დაწყებას. ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი გავიარეთ, რაც დაგვეტყო კიდეც. მშვენივრად მოვემზადეთ ფიზიკურად. ვფიქრობ, ერთ-ერთი ჩვენი კოზირი ესეც იქნება," - ასეთია ტატანაშვილის "რეცეპტი".

გორის "დილას" მთავარ მწვრთნელს თეიმურაზ შალამბერიძეს გუნდში ისეთი ფეხბურთელები ჰყავს, ბევრი ქართული გუნდი ვერ დაიკვეხნის - ლაშა სალუქვაძე, დათო კვირკველია, გიორგი შაშიაშვილი, კახა ალადაშვილი, გიორგი ონიანი, გოგიტა გოგუა, შოთა კაშია, შოთა გრიგალაშვილი, სანდრო გურული, ირაკლი მოდებაძე, მათე ვაწაძე, გიორგი კახელიშვილი - საქართველოს ნაკრების ყოფილი და ახლანდელი ფეხბურთელები, რომლებსაც ევროთასებზე თამაშის გამოცდილებაც უმაგრებთ ზურგს. ერთი სიტყვით, შემადგენლობის მიხედვით, "დილა" სოლიდური გუნდია, თუმცა, მისი ძალა "ორჰუსთან" ორმატჩიან დუელში გამოჩნდება.

გორელებმა დანიაში ჩასვლამდე ერთი კვირით ადრე გერმანიაში, კერძოდ, ჰამბურგში გაიარეს შეკრება, საკონტროლო მატჩებიც ითამაშეს და გუშინწინ ჩავიდნენ ორჰუსში. სანამ გორელთა მეტოქეზე ვიტყოდეთ, მანამდე "დილას" ფეხბურთელთა წინასამატჩო განწყობას გავეცნოთ. დავით კვირკველია: "გუნდში ისეთი ფეხბურთელები არიან, მათთან შეთამაშება არ იყო რთული. ყველაფერს გავაკეთებთ სასურველი შედეგის მისაღწევად. ორრაუნდიანი დუელია და საპასუხო შეხვედრაში გაირკვევა გამარჯვებულის ვინაობა".

გოგიტა გოგუა: "სერიოზულად მოვემზადეთ. სტუმრად ვთამაშობთ და გაათმაგებულად მობილიზებულები ვიქნებით. "ორჰუსი" კარგი გუნდია, მაგრამ არც ჩვენ ვართ ნაკლები. პირველი მატჩის შემდეგ უფრო მეტი გვეცოდინება მეტოქეზე."

ლაშა სალუქვაძე: "გუნდში საბრძოლო განწყობაა, გულშემატკივარს ვპირდებით, რომ თავს არ დავზოგავთ და სასურველ შედეგს მივაღწევთ."

მათე ვაწაძე: "მეტოქე ძლიერია. მის წინააღმდეგ ასპროცენტიანი მობილიზება გვჭირდება. შეუძლებელი არაფერია. ორმატჩიან დაპირისპირებაში "დილას" შეუძლია დანიური ბარიერის დაძლევა".

აი, ასეთი განწყობით ხვდებიან გორელები სადებიუტო ევრომატჩს. და რას წარმოადგენს "ორჰუსი"? უპირველესად ის ვთქვათ, რომ დანიელთა 18-კაციან განაცხადში ორი ჩვენებურია - შემტევი ნახევარმცველი დავით დევდარიანი და ახალგაზრდა დავით სხირტლაძე. წინა სეზონში "ორჰუსმა" ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა და 15-წლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა ევროსარბიელს. ცხადია, ორჰუსელებიც შემდეგ ეტაპზე გასვლას გეგმავენ. მომავალ მატჩსა და მეტოქეზე კლუბის ვებგვერდის კორესპონდენტი "ორჰუსის" ახალგაზრდა ნახევარმცველ კასპერ სლოთს დაეკითხა აზრს: "მართალია, მეტოქეს არ ვიცნობთ, მაგრამ "დილა" შეიძლება ძალიან კარგი გუნდი იყოს. ასე რომ, მეტოქის დაუფასებლობა არ შეიძლება. მეტოქე წნეხის ქვეშ უნდა მოვაქციოთ. იმედი გვაქვს, სწრაფ გოლს გავიტანთ".

"მეტალურგი"-"პლზენის" მატჩი 20.00 საათზე დაიწყება, ხოლო "ორჰუსი"-"დილა" - 21:00 საათზე.

მესი და რონალდუ ლა ლიგას ურთულესად თვლიან

"ბარსელონას" არგენტინელი თავდამსხმელი ლიონელ მესი ახალ სეზონში "რეალთან" დაპირისპირების თაობაზე თავის მოსაზრებას ახმოვანებს.

"წლიდან წლამდე ესპანეთის ჩემპიონატი რთულდება, - ფეხბურთელის სიტყვებს გადმოგვცემს ესპანური Marca. - შარშან "რეალს" დარჩა გამარჯვება. წლეულს უფრო დაძაბული ბრძოლები გველის. როგორც ფეხბურთელი, ვცდილობ პროგრესირებას როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდთან ერთად. რაც შეეხება "ოქროს ბურთს", ის მას დარჩება, ვინც უფრო ძლიერია. კასილასი თუ რონალდუ? გავიმეორებ: ვინც უფრო ძლიერია, ის გაიმარჯვებს. თუმცა, ვისურვებდი, რომ ეს ჯილდო მოიპოვოს ჩემმა რომელიმე პარტნიორმა - ჩავიმ ან ინიესტამ".

მსგავს განცხადებას აკეთებს მადრიდის "რეალისა" და პორტუგალიის ეროვნული ნაკრების ლიდერი კრიშტიანუ რონალდუ: "ვფიქრობ, ჩემს კარიერაში საუკეთესო რამ "ლა ლიგაში" გამარჯვებაა, რადგან ესპანეთის ჩემპიონატი მსოფლიოში ყველაზე რთულია. იქ დიდი გუნდები თამაშობენ. მაგალითად, "ბარსელონა", რომლის 9 ქულით გასწრება ბევრ რამეზე მეტყველებს", - იუწყება რონალდუს სიტყვებს ინტერნეტ-გამოცემა Soccerway.

რონალდუმ კომენტარი გააკეთა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ესპანეთთან მატჩში მომხდარ ფაქტზეც, როდესაც პორტუგალიელთა მთავარმა მწვრთნელმა პაულუ ბენტუმ მას უკანასკნელს ანდო პენალტის შესრულება.

"ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს. შეგვიძლია გავიხსენოთ ჩემპიონთა ლიგის 1/2-ფინალში "ბაიერნთან" ჩატარებული მატჩი, როდესაც პენალტი პირველმა დავარტყი, მაგრამ ვერ გავიტანე. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, რადგან პენალტები ლატარიაა", - თქვა პორტუგალიელმა.

ჰინგისი ოლიმპიურ ჩემპიონებს ფედერერსა და უილიამსში ხედავს

მარტინა ჰინგისი ფედერერს ფავორიტად ასახელებს

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, შვეიცარიელ მარტინა ჰინგისს მიაჩნია, რომ ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე გაიმარჯვებენ მისი თანამემამულე როჯერ ფედერერი და ამერიკელი სერენა უილიამსი.

"ყველა, ვისაც უყვარს ბალახზე თამაში, მოუთმენლად ელის ზაფხულის განმავლობაში უიმბლდონზე მეორედ დაბრუნებას (ოლიმპიურ თამაშებზე საჩოგბურთო ასპარეზობები უიმბლდონის კორტებზე გაიმართება). ისინი დატკბებიან ლონდონში ხელმეორედ დაბრუნების შესაძლებლობით. ეს მათთვის იგივეა, რაც ესპანელთათვის საყვარელ თიხნარზე თამაში. მიმაჩნია, რომ უიმბლდონის ჩემპიონები სერენა უილიამსი და როჯერ ფედერერი ოლიმპიურ თამაშებზე ფავორიტები იქნებიან. თამაშებისთვის მზად იქნება რაფაელ ნადალიც, რომელსაც საკმარისი დრო ჰქონდა ტრავმის მოსაშუშებლად. მას ჯერ არ გამოუვლენია თავისი შესაძლებლობები უიმბლდონზე. ასე რომ, ახლა ამის საშუალება ექნება", - Tennis World ციტირებს ჰინგისს.

ერთეულებში "დიდი სლემის" ტურნირების ხუთგზის ტრიუმფატორის აზრით, ოლიმპიური თამაშები არ უნდა შევადაროთ ოთხ მეიჯორ ტურნირს.

"მგონია, რომ ჩოგბურთელებისთვის "დიდი სლემის" ტურნირები ოლიმპიურ თამაშებზე უფრო მნიშნელოვანია. თუმცა, ყველაზე ამას ვერ ვიტყვი. ყველა ინდივიდუალურად უდგება საკითხს. ბევრი რამ იმაზეცაა დამოკიდებული, თუ საიდანაა მოთამაშე. თუ აშშ-დან, ჩინეთიდან, გერმანიიდან ან საფრანგეთიდან ხარ, ჩემპიონობის შემთხვევაში სუპერგმირად გამოგაცხადებენ. შვეიცარიაში კი ერთი დღით ხარ გმირი. ოქროს მედალს ბევრი არაფერი მოჰყვება. შესაძლოა, ასე იმიტომ ვამბობ, რომ მე თვითონ შვეიცარიიდან ვარ", - ამბობს ჰინგისი.

უიმბლდონის კორტებზე ოლიმპიური ტურნირი დაიწყება თამაშების გახსნიდან მეორე დღეს - 28 ივლისს.

გიგა გურასაშვილი

ლონდონში შეამოწმებენ ყველას და ყველაფერს: ადამიანს, ძროხას, ბატს

ᲒᲘᲒᲐ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

დაცვის სამსახურის თანამშრომლებს ლონდონში ურთულესი გამოცდის ჩაბარება მოუწევთ

ლონდონის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონია 30 წუთით შეამცირონ.

The sun-ის ცნობით, თამაშების მასპინძელთა ამ გადაწყვეტილების მიზეზი ის არის, რომ G4S-ის დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა დროულად შეძლონ სტადიონის საგუშაგოებზე მოზღვავებულ სტუმართა შემოწმება.

მთავარ სტადიონზე ჩატარებული გენერალური რეპეტიციის დროს გამოჩნდა, რომ პროგრამა გათვალისწინებულზე ხანგრძლივია. ამის გამო ორგანიზატორები იძულებული გახდნენ, პროგრამა შეემცირებინათ ველოსიპედისტთა ცეცხლოვანი წარმოდგენის ხარჯზე.

გახსნის საზეიმო ცერემონია ლონდონის დროით 21 საათზე (თბილისის დროით 24 საათზე) დაიწყება და სამ საათს გაგრძელდება. ორგანიზატორთა დათვლით, ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიებში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 20 ათასი ადამიანი. წარმოდგენების დროს გამოიყენებენ 23 ათას კოსტიუმს. მთლიანობაში ამუშავდება მილიონი ვატი სიმძლავრის აუდიოსისტემა, რომელიც 500 დინამიკში განაწილდება. ამ ცერემონიების მუსიკალურ გაფორმებაზე ზრუნავდა 62 კომპოზიტორი.

G4S-ის დაცვის სამსახურის (კერძო დაცვის სამსახურია) მუშაკებს დიდი გამოწვევა ელით. თავიდან ფეხებამდე შესამოწმებელია 80 ათასი გულშემატკივარი, რომელიც სტადიონზე მივა, 16 ათასი სპორტსმენი, გახსნისა და დახურვის საზეიმო ცერემონიათა 10 ათასი მონაწილე, 70 ცხვარი (არ მოგესმათ. გახსნის საზეიმო ცერემონიალისთვის მასპინძლებმა დაიქირავეს ცნობილი რეჟისორი დენი ბოილი, რომელმაც წარმოდგენისთვის, ადამიანებთან ერთად, ფრინველები და შინაური ცხოველებიც "დაასაქმა"), 12 ცხენი, 10 ქათამი, 3 ძროხა, 2 თხა, 8 ბატი და 3 ძაღლი. ასე რომ, სტადიონზე მისულ 80 ათას სპორტის მოყვარულს (მასზე დასასწრები ბილეთი დაახლოებით ორი ათასი ფუნტი სტერლინგი ღირს) და ტელემაყურებელს უჩვეულო სანახაობა ელის. როგორც ამბობენ, გახსნის საზეიმო ცერემონიას მილიარდიანი ტელეაუდიტორია ეყოლება.

"ყველაფერი უნდა შემოწმდეს მანამ, სანამ დაცულ ტერიტორიაზე შეაბიჯებენ. უდიდესი ლოჯისტიკური გამოწვევა გველის", - ამბობს ლონდონური წყარო.

ილაის წიგნი

ალექსანდრე ასათიანი

გრანტ ჰილი კალიფორნიაში ჩადის

გრანტ ჰილი ელ ეიში, "ლეიკერსის" ბოსებთან ლანჩზე გადაფრინდა. კარგი ბიჭი კარგი გუნდის კარგ ბოსებთან მიდის. რაღაც ამბები მოსაგვარებელი იქნება და გრანტმა თავისი კუში უნდა მოხსნას. "ლეიკერსში" ერთი განიერი ბუზღუნას, დუაიტ ჰოვარდის მისვლას ელოდებიან და მანამდე კობისთვის ნდობის კედელს აგებენ. იმ კედელში ერთ-ერთი აგური მისტერ ჰილი იქნება. ძველი, ცოტა დამტვრეული აგური. ბრაიანტმა სანტა კლაუსს დუაიტის დაკუნთული კისერი და კარგი პო გასოლი შეუკვეთა. სანტამ უთხრა, კიდევ რამდენიმე ბიჭს გიშოვი და გვარები მითხარიო. კობიმ გრანტ ჰილი დაასახელა. "სპრაიტი" კალიფორნიაშიც "სპრაიტია". გრანტი "სპრაიტის" სახე იყო. "ლეიკერსი" "სპრაიტზე", ჰილზე, სანდო პენსიონერებზე გადადის. ჰილი 5 ოქტომბერს 40 წლის ხდება და დასვენებას არ აპირებს. ჰილის კარიერულ ზურგჩანთაში 17 044 (17.1) ქულა, 6 120 (6.1) მოხსნა, 4 226 (4.2) პასია.

ელიეის ბოსებმა ჰილთან მოლაპარაკება შარშან დაიწყეს. ფორვარდმა რეგულარული "ფინიქსში" დახურა და სტივ ნეშთან ერთად ნოსტალგიის პატარა ბუდეს გადაეფარა. ჰილი კარგი მოთამაშეა. ადრე სკოტი პიპენის ტერიტორიაზე სეირნობდა. რაღაც თვალსაზრისით, გრანტი სკოტიზე პიპენი იყო და სტატისტიკაზე შეყვარებულ სტატისტიკურ ამერიკელებთან მეგობრობდა. ჰილი დადის საქველმოქმედო აქციებზე, ჰილი ქუჩის კალათბურთს თამაშობს, ჰილი ჩიზბურგერებს ითვისებს და გრანტი ამერიკელია. ნაღდი ამერიკელი. როგორც ბრიუს სპრინგსტინი. როგორც სლეში. როგორც დენზელ ვაშინგტონი. როგორც დერეკ ჯიტერი. მისტერ ჰილი პოზიტივია. ეს პოზიტივი ცოტა გახუნდა, ცოტა სისწრაფე დაკარგა, უკვე იშიფრება და ჰილში სიბრძნე, ინტელექტი დიდი დოზით არის. გრანტმა ტკივილთან იძმაკაცა, ჰილი გაჭრეს და გაკერეს. გრანტი საქმეს აკეთებს და "ლეიკერსის" ცოტა დასალაგებელ ბანდას მიხედავს.

ჰილთან ერთად კობი უფრო დაისვენებს. გრანტი მისტერ ბრაიანტს კალათბურთით ვერ დაასვენებს, მაგრამ წუთშესვენებების დროს ბიჭებს მზრუნველი დედიკოს ტონით დაელაპარაკება. "ლეიკერსში" ამას, ძირითადად, კობი აკეთებს. ჰილი კარგი მოტივატორია. თუ გრანტი 20 წუთში 7-8 ქულას, რამდენიმე პასს და აკურატულ დაცვას დატოვებს, კობი ჯეკ ნიკოლსონის მუხლებზე მინვება, ჯეკის დურბინდიდან მოცეკვავე გოგონებს დააკვირდება და მიაკიმარებს. ბრაიანტი ჰილთან არ ძმაკაცობს და კობი გრანტით დაისვენებს. ჰილი კალათბურთის დენზელ ვაშინგტონია. ილაის წიგნით, რომელშიც ის რამდენიმე სიტყვაა, რაც ყველას აკლია. გრანტმაც თავისი გზა გაიარა და მშვიდი კაცი უნდა ჩამოჯდეს. კალიფორნიაში ბევრი სკამია. იქ ისტვუდები, ჰეკმანები და რაიანები ისვენებენ. ბუნჩულა პენსიონერების ვიზას მალე გრანტ ჰილსაც მისცემენ. კარგი ბიჭი ანგელოზების ქალაქში ჩადის. ანგელოზები ჯერ იზმორებიან, აჩეჩილ თმას ისწორებენ და როგორც კი სამოთხის კარზე კალათბურთის უილ სმიტი დააკაკუნებს, კარი გაიღება და ღრუბლების სკვერში მისტერ ჰილს მიიღებენ. ანგელოზებთან ერთად თეთრ ჩილიმს გრანტიც მოქაჩავს და წამოიღებს. გრანტმა დასვენება უნდა ისწავლოს. ანგელოზებთან ერთად ეს ამბები უფრო სასიამოვნო იქნება.

ჰილი დადის საქველმოქმედო აქციებზე, ჰილი ქუჩის კალათბურთს თამაშობს, ჰილი ჩიზბურგერებს ითვისებს და გრანტი ამერიკელია. ნაღდი ამერიკელი. როგორც ბრიუს სპრინგსტინი. როგორც სლეში. როგორც დენზელ ვაშინგტონი. როგორც დერეკ ჯიტერი. მისტერ ჰილი პოზიტივია. ეს პოზიტივი ცოტა გახუნდა, ცოტა სისწრაფე დაკარგა, უკვე იშიფრება და ჰილში სიბრძნე, ინტელექტი დიდი დოზით არის. გრანტმა ტკივილთან იძმაკაცა, ჰილი გაჭრეს და გაკერეს. გრანტი საქმეს აკეთებს და "ლეიკერსის" ცოტა დასალაგებელ ბანდას მიხედავს. ჰილთან ერთად "ლეიკერსმა" ენტუან ჯეიმისონსაც დაუმესიჯა, ჩვენთან გადმოდი და სუპერფინალს მოგაგებინებთო. ენტუანმა დაიჯერა. უკვე გზაშია. "ლეიკერსი" კარგი ბენდი იქნება. ამერიკული გუნდი კარგი ამერიკელებით და პო გასოლით. მისტერ ჰილთან, ენტუან ჯეიმისონთან და მისტერ ბრაიანტთან ერთად.

ანგელოზების ქალაქში მისტერ ილაი ჩადის და თან ის რამდენიმე სიტყვა ჩააქვს, რაც ყველას აკლია. ილაიმ თავისი გზა გაიარა და წავიდა. გრანტმაც თავისი გზა გაიარა და მშვიდი კაცი უნდა ჩამოჯდეს. კალიფორნიაში ბევრი სკამია. იქ ისტვუდები, ჰეკმანები და რაიანები ისვენებენ. ბუნჩულა პენსიონერების ვიზას მალე გრანტ ჰილსაც მისცემენ. კარგი ბიჭი ანგელოზების ქალაქში ჩადის.